# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 19 სექტემბერი 2008 №216 (3440)

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა




## მილანი კლასში დარჩენილივით

### დიდი ბიჭები პატარებს დაერივნენ

## თავაზიანი მატჩი

### ბაიამ და ოლიმპმა ერთმანეთს უთავაზეს







## საქართველო გა-დარჩენაზეა

„მეტოქე ჩვენზე ძლიერია და იღბლის და ღმერთის იმედად ვართ" — განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრების ახალმა კაპიტანმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ.

გაბრიჩიძემ ეს მინსკში, დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის პირველი ჯგუფის კენჭისყრაზე თქვა. მისი კომენტარი და ვრცელი მასალა კი ჩვენმა ბელარუსმა კოლეგამ რუსლან ბატენკოვმა გამოგვიგზავნა და მას მე-14 გვერდზე წაიკითხავთ.

ჩვენ კი გეტყვით, რომ დღეს საქართველოს ნაკრები მინსკში მასპინძლებს სამდღიან ჩოგბურთობაში გაეჯიბრება. მათ შორის მოგებული ევრო-აფრიკული ზონის A ჯგუფში დარჩება, წაგებული კი დაქვეითდება. ჩვენები A ჯგუფში ადგილისთვის სამი სეზონი იბრძოდნენ და დასანანი იქნება, თუ ამას დაკარგავენ.

ერთიც, როგორც ბოლო წლებში, ბელარუს-საქართველოს სამდღიანი დაპირისპირება მთლიანად ჩვენს პირველ და მეორე ჩოგნებს დააწვებათ. ქართველები ირაკლი ლაბაძის და ლადო ჩიხლაძის დუეტის იმედად ვართ.

# უჩა ლობჟანიძე: მაინცის ინტერესზე არაფერი გამიგია

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ბევრი პერსპექტიული ფეხბურთელი თამაშობს და ერთ-ერთია „ზესტაფონის“ მარჯვენა მცველი უჩა ლობჟანიძე, ვინც უკვე ნაკრების წევრად ითვლება. სწორედ სანაკრებო თემით დაიწყო ჩვენი საუბარი და მერე ჩემპიონატზეც ვთქვით...



უჩა ლობჟანიძე კრიშტიანუ რონალდუს წინააღმდეგ

— ელოდი, რომ ნაკრებში ისევ გამოგიძახებდნენ?

— სიმართლე გითხრათ, არ ველოდი. ახალგაზრდულ ნაკრებში ჩავატარე რამდენიმე მატჩი და ჩემდა სასიხარულოდ, ამის შემდეგ ეროვნულ გუნდში სისტემატურად მიწვევენ.

— ირლანდია-იტალიასთან ბოლო ორი მატჩი შეუცვლელად ითამაშე. როგორ შეაფასებდი საკუთარ თამაშს?

— ჩემი მხრიდან არ არის გამართლებული ამის შეფასება. ისე, უკეთესადაც შემეძლო. თავიდან ვღელავდი, მერე ამან გამიარა და ნელ-ნელა თავდაჯერებაც შევიძინე. სასწავლი ბევრი მაქვს და მჯერა, მომდევნო მატჩებს უკეთ ჩავატარებ.

— შევიტყვეთ, რომ ირლანდიური მატჩის შემდეგ თქვენი თამაშით გერმანული „მაინცის“ სელექციონერები დაინტერესდნენ...

— ვერაფერს გეტყვით. ისე კი, სასიამოვნო ფაქტია.

— როგორ დაახასიათებ ექტორ რაულ კუპერს?

— კუპერი რომ მაღალი დონის სპეციალისტია, ორი აზრი არ არსებობს. მან კარგად იცის თავისი საქმე, იმედია, საქართველოს ნაკრებს მალე დაატყობს ხელს. დარწმუნებული ვარ, ნაკრები მომდევნო მატჩებს უფრო დალაგებულად ჩაატარებს და წარმატებაც აუცილებლად მოვა.

— ეროვნულ ჩემპიონატში ერთი ტური ჩატარდა. ამა თუ იმ გუნდის შესაძლებლობებზე დასკვნების გაკეთება ნაადრევია, მაგრამ შენი აზრით, ვინ გახდება ჩემპიონი?

— რამდენიმე გუნდი საკმაოდ გაძლიერდა სეზონის წინ. თუნდაც „სიონი“ და „ოლიმპი“ ავიღოთ. ამას გაგრელთა სენსაციური გამარჯვებაც დავუმატოთ „დინამოსთან“ და ვფიქრობ, საინტერესო ჩემპიონატი გველის. მაინც მე მჯერა, რომ ჩემპიონი „ზესტაფონი“ გახდება.

— როგორც ყველა, ალბათ შენც გინდა უცხოურ კლუბში გადასვლა...

— რა თქმა უნდა, ყველა ფეხბურთელი ოცნებობს ითამაშოს დიდი ფეხბურთი და რომელიმე ძლიერ ევროპულ კლუბში ჩაირიცხოს. ვფიქრობ, ჩემი შესაძლებლობები არ ამომიწურავს. ჩვენს ჩემპიონატშიც ბევრი მაქვს სასწავლ-დასამტკიცებელი, არ მინდა, უცხოურ კლუბში სათადარიგოთა სკამზე ვიჯდე, ან განათხოვრებით კლუბებში ვიარო. მოვემზადები და მერე წავალ.

**ბექან ჩხეიძე**

# რევიშვილის რუბინი დეკემბერში მთავრდება

**ნუკრი რევიშვილი,** სავარაუდოდ, დეკემბერში დაემშვიდობება ყაზანის „რუბინს“.

წინა ორ სეზონში ჩვენიანს ხანდახან მაინც ანდობდნენ სათათრეთის გუნდის კარს, თუმცა ნელ-ნელა პრაქტიკა სულ უფრო ნაკლები გაუხდა... ამას ნუკრის ტრავმები და ავარიაც დაემატა.

ახლა „რუბინს“ ორი მეკარე ჰყავს, რომლებთანაც ახალგაზრდა ქართველს კონკურენცია ალბათ გაუჭირდება.

სად გააგრძელებს რევიშვილი კარიერას, ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

**ილია ნანობაშვილი**

# დვალიშვილი ბალტიის თასზეც გამოირჩა



**ვლადიმერ დვალიშვილმა** ლატვიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „დაუგავასთან“ გატანილი გოლის შემდეგ ბალტიის თასზეც გამოიჩინა თავი.

„სკონტომ“ თანაქალაქელი „რიგა“ 3:2 დაამარცხა და ერთი გოლით ქართველი თავდამსხმელი გამოირჩა — მან 36-ე წუთზე 1:1 გახადა ანგარიში.

დვალიშვილი 72-ე წუთზე შეცვალეს, „სკონტოს“ კიდევ ერთმა ქართველმა ლეგიონერმა, მცველმა დავით გამეზარდაშვილმა კი 90 წუთი გაატარა მოედანზე.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ქართველების ანჟი პოდოლსკს მოერია

**მახაჩყალის** „ანჟიმ“ რუსეთის პირველ დივიზიონში პოდოლსკის „ვიტიაზს“ შინ 1:0 მოუგო.

ახლა დაღესტნური კლუბი მეხუთე ადგილზეა, თუმცა პრემიერლიგაში გადამსვლელ მეორე ადგილთან ოდენ სამი ქულითაა დაშორებული.

რამდენიმე ვებგვერდის ცნობით, გოლი მიხეილ აშვეთიამ გაიტანა, თუმცა „ანჟის“ ოფიციალურ საიტზე კირილ კოჩუბეი წერია მეგოლედ.

აშვეთიამ 66 წუთი ითამაშა, რევაზ ჯიქია ბოლოსკენ შეცვალეს, ვალერი აბრამიძემ, გოჩა ხოჯავამ და გიორგი ნავალოვსკიმ კი სრულად იბურთავეს.

არ უთამაშიათ ტრავმიან რევაზ ბარაბაძესა და დისკვალიფიცირებულ ზურაბ არზიანს.

ნამატჩევს „ანჟის“ თავკაცმა ომარ თეთრაძემ საგოლე მომენტების გამოუყენებლობაზე დაიჩივლა და განსაკუთრებით ჯიქია აღნიშნა — მარტო მას შეეძლო დიდი ანგარიშის დაფიქსირებაო.

**ილია ნანობაშვილი**

## უეფას თასი 2008-2009

### პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

**მოსკვა (რუსეთი) 1:2 კოპენჰაგენი (დანია)**
0:1 ნორდსტრანდი (45პ), 1:1 სამედოვი (90), 1:2 სიონკო (90)

**მილანი (იტალია) 3:1 ციურიხი (შვეიცარია)**
1:0 იანკულოვსკი (45), 2:0 პატო (56), 3:0 ბორიელო (73), 3:1 ჯურიჩი (78)

**ტიმიშოარა (რუმინეთი) 1:2 პარტიზანი (სერბეთი)**
1:0 ბუკური (26), 1:1 ტოსიჩი (33), 1:2 ბოგუნოვიჩი (65)

**ბანიკი (ჩეხეთი) 0:1 სპარტაკი (რუსეთი)**
0:1 ბოლფი (56ს.კ.)

**ბეშიქთაში (თურქეთი) 1:0 მეტალისტი (უკრაინა)**
1:0 ჰოლოსკო (51)

**პორტსმუთი (ინგლისი) 2:0 გიმარაეში (პორტუგალია)**
1:0 ლ. დიარა (39), 2:0 დეფო (59)

**ქაისერისფორი (თურქეთი) 1:2 პსჟ (საფრანგეთი)**
0:1 კეჟმანი (5), 1:1 ტოლედო (87), 1:2 ლუინდულა (90)

**სევილია (ესპანეთი) 2:0 ზალცბურგი (ავსტრია)**
1:0 კაპელი (6), 2:0 კორეირა (90)

**ვოლფსბურგი (გერმანია) 1:0 რაპიდი (რუმინეთი)**
1:0 გრაფიტე (45)

**სამპდორია (იტალია) 5:0 კაუნასი (ლიტვა)**
1:0, 2:0 ბონაცოლი (14, 22), 3:0, 4:0 კასანო (36, 57), 5:0 ფორნაროლი (90)

**მარიტიმუ (პორტუგალია) 0:1 ვალენსია (ესპანეთი)**
0:1 მორიენტესი (12)

**დინამო (ზაგრები, ხორვატია) 0:0 სპარტა (ჩეხეთი)**

**ომონია (კვიპროსი) 1:2 მანჩესტერ სიტი (ინგლისი)**
1:0 დურო (49), 1:1, 1:2 ჟო (59, 72)

**იანგ ბოისი (შვეიცარია) 2:2 ბრიუგე (ბელგია)**
1:0 შნოული (16), 1:1 სონკი (36), 1:2 კლემენტი (72), 2:2 დუმბია (88)

**ნანსი (საფრანგეთი) 1:0 მოზერუელი (შოტლანდია)**
1:0 ბერენგერი (42)

**ევერტონი (ინგლისი) 2:2 სტანდარდი (ბელგია)**
0:1 მბოკანი (9), 1:1 იაკუბუ (23), 1:2 იობო (35ს.კ.), 2:2 კასტილიო (38)

**ნაპოლი (იტალია) 3:2 ბენფიკა (პორტუგალია)**
0:1 სუაზო (16), 1:1 ვიტალე (18), 2:1 დენისი (20), 3:1 მაჯო (56), 3:2 ლუიზაო (59)

**ბელინცონა (შვეიცარია) 3:4 გალათასარაი (თურქეთი)**
1:0 ლუსტრინელი (32), 1:1 კიუელი (38), 2:1 სერმეტერი (47), 2:2, 2:3 ბაროში (52, 80), 3:3 როკა (89), 3:4 ლინკოლნი (90)

**ნაიმეგენი (ჰოლანდია) 1:0 დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი)**
1:0 ბუკერინგი (61)

**რასინგი (ესპანეთი) 1:0 ჰონკა (ფინეთი)**
1:0 პერეირა (46)

**ლიტექსი (ბულგარეთი) 1:3 ასტონ ვილა (ინგლისი)**
1:0 პოპოვი (10), 1:1 რეო-კოკერი (45), 1:2 ბერი (72პ), 1:3 პეტროვი (90)

**აუსტრია (ავსტრია) 2:1 ლეხი (პოლონეთი)**
1:0 შაიმერი (63), 1:1 რენგიფო (65), 2:1 შაიმერი (76)

**სეტუბალი (პორტუგალია) 1:1 ჰერენვენი (ჰოლანდია)**
1:0 ლეანდრო (67), 1:1 შვეცი (90)

**ბრანი (ნორვეგია) 2:0 დეპორტივო (ესპანეთი)**
1:0 ბიარნასონი (22პ), 2:0 სოლი (37)

**სლავია (ჩეხეთი) 0:0 ვასლუი (რუმინეთი)**

**სლავენი (ხორვატია) 1:2 ცსკა (რუსეთი)**
1:0 ჯურიჩი (42), 1:1, 1:2 ვაგნერ ლავი (82, 89პ)

**ბრონდბიუ (დანია) 1:2 რუსენბორგი (ნორვეგია)**
0:1 საპარა (29), 0:2 სკილბრედი (56), 1:2 კრონ-დელი (63)

**ჩერნო მორე (ბულგარეთი) 1:2 შტუტგარტი (გერმანია)**
1:0 დიაკოვი (42), 1:1, 1:2 გომესი (66, 81)

**რენი (საფრანგეთი) 2:1 ტვენტე (ჰოლანდია)**
0:1 დენებოომი (12), 1:1 მბია (37), 2:1 ბოკანეგრა (49)

**ბორაცი (სერბეთი) 1:4 აიაქსი (ჰოლანდია)**
0:1 სულეიმანი (12), 0:2 სუარესი (36), 1:2 ლაზოვიჩი (51), 1:3, 1:4 ჰუნტელაარი (71, 86)

**ტოტენჰემი (ინგლისი) 2:1 ვისლა (პოლონეთი)**
1:0 ბენტლი (33), 1:1 ჟირსაკი (35), 2:1 ბენტი (73)

**ჟილინა (სლოვაკეთი) 1:1 ლევსკი (ბულგარეთი)**
1:0 ვლადავიჩი (48პ), 1:1 ჟაოზინიო (63)

**დორტმუნდი (გერმანია) 0:2 უდინეზე (იტალია)**
0:1 ფლორესი (7), 0:2 ინლერი (34)

**ბრაგა (პორტუგალია) 4:0 არტმედია (სლოვაკეთი)**
1:0 ევალდო (3), 2:0, 3:0, 4:0 ზე (18, 30პ, 76)

**ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0:1 კალმარი (შვედეთი)**
0:1 ელმი (72)

**ჰამბურგი (გერმანია) 0:0 უნირეა (რუმინეთი)**

**ჰაპოელი (ისრაელი) 1:2 სენტ-ეტიენი (საფრანგეთი)**
0:1 პაიეტი (7), 0:2 ფეინდუნო (60), 1:2 ლალა (88)

## შვედეთი

სუპერეტა

ფალკენბერგი 1:1 დეგერფორსი

## ირლანდია

1 დივიზიონი

დანდალკი 2:1 შელბურნი

## ისლანდია

პრემიერდივიზიონი

აკრანესი 0:0 რეიკიავიკი

ფილკირი 0:3 ფიოლნირი

კოპავოგური 0:2 გრინდავიკი

ვალიური 2:0 ტროტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა თანაგრძნობას უცხადებს „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო

www.pfl.ge

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

# თავპირისმტვრევა

## ბაია და ოლიმპი ერთმანეთს ჩხუბშიც შეეჯიბრნენ




ზუგდიდი. 18 სექტემბერი. 16 საათი. გ. თუთბერიძე. 700 მაყურებელი

| ბაია 0:4 ოლიმპი | |
|---|---|
| 0:1 აკუასაგა (15), 0:2 დეკანოსიძე (58), 0:3 ფიფია (67), 0:4 დობროვოლსკი (80) | |
| ბაია: ივარდავა, ზ. ექონია, ს. პაჭკორია, გ. ჟვანია, წურწუმია, კუტალია (ბოკუჩავა 46), რაფავა, ვართაგავა, კაკუშაძე (გუგუჩია 59), ქირია (ნ. შონია 79), სვირავა. სათადარიგონი: მაქაცარია, ეხვაია, კ. შონია, დ. პაჭკორია. მწვრთნელი: პერბერტ ცანკერი | ოლიმპი: მერლანი, მაჭავარიანი, აკუასაგა, ა. გილაური, თ. ლონლაძე, გაბიდაური, სეთურიძე (დეკანოსიძე 46), ფეიქრიშვილი, ბაბუნაშვილი (დობროვოლსკი 44), მიკუჩაძე, მეგრელაძე (ფიფია 57). სათადარიგონი: სტურუა, ჩიკვილაძე, გ. ჩხეტიანი. მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი |
| გაფრთხილება: ლონლაძე (22) | |
| გაძევება: ექონია (16) | |
| მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, გ. ყრუაშვილი, მ. ურუშაძე | |

**სოსო გულუა ზუგდიდიდან**

**ამ** გუნდების პირველი შეხვედრა რუსთავში 1:1 დასრულდა და ამ მატჩსაც დიდი ინტრიგა ახლდა.

ზუგდიდის „ბაიას“ რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა და მათ შორის, ნიკა ძალამიძე, რომელიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ახლავს ავსტრიაში.

თამაში ცოცხლად დაიწყო და უკვე მე-4 წუთზე წურწუმიას გატანის რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ ახლო მანძილიდან კარს ვერ დაუმიზნა.

სტუმრებმა ზუგდიდელთა საჯარიმოსთან ჯარიმის უფლება მოიპოვეს — გიორგი სეთურიძემ საჯარიმოში ჩააწოდა, იქ ყველას გაბონელმა ერნესტ აკუასაგამ დაასწრო და თავით გაიტანა. წუთში კი „ბაია“ კაცნაკლული დარჩა — ზურაბ ექონიას წითელი ბარათი უჩვენა არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ.

მოედანზე უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია და გუნდი-გუნდზე თავპირისმტვრევაც დაიწყო.

არც „ოლიმპის“ თავკაც ხვიჩა ქასრაშვილს დაუხევია უკან და ისიც აქტიურობდა.

ამ ინციდენტის გამო თამაში 10 წუთით შეწყდა. მერე, როგორც იქნა, დაშოშმინდნენ მოჩხუბრები და თამაშიც განახლდა.

მეორე ნახევარში კი ქასრაშვილმა სამი შეცვლა გააკეთა და, სამივე შედეგიანი გამოდგა.

58-ე წუთზე გიორგი დეკანოსიძემ კარიდან 20 მეტრში დანიშნული ჯარიმა აქცია გოლად.

67-ე წუთზე კი კოკა მიკუჩაძის პასით მეკარესთან პირისპირ დარჩა გოგი ფიფია და მანუჩარ ივარდავას ბურთი თავზე გადაავლო.

საკამათო ეპიზოდი იყო — მიკუჩაძის პასისას ფიფია თამაშგარეში იყოო, ამტკიცებდნენ მასპინძლები, თუმცა რამის მტკიცება ძალიან ძნელია.

მატჩის ბოლო გოლის ნახვა კი ერთ რამედ ღირდა — დენის დობროვოლსკიმ 25 მეტრიდან ულამაზესი გოლი გაიტანა.

მაყურებელმა „ოლიმპი“ მოედნიდან ტაშით გააცილა, მსაჯების დაცვა კი პოლიციას მოუხდა...

# ლიონიდან ლვოვში

## სანდრო გურულის კარპატი გადაწყდა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფორვარდი სანდრო გურული დღე-დღეზე კონტრაქტს გააფორმებს უკრაინული ლვოვის „კარპატისთან“.

ცოტა უცნაურია საფრანგეთიდან უკრაინაში წასვლა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ სანდროს ყოფილი კლუბი „ლიონ-დუშერი“ მეოთხე დივიზიონში თამაშობდა. იქ ჩვენიანი გუნდის ლიდერი გახლდათ. მისით ბელგიის იუპილერლიგის ერთი კლუბიც დაინტერესდა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ექს-მწვრთნელ გია გურულის 22 წლის ვაჟი გასინჯვაზე იყო „კარპატიში“ და მწვრთნელ ოლეგ კონონოვის მოწონებაც დაიმსახურა, რასაც მალე კონტრაქტიც მოჰყვება.

სანდრო გურული შემტევი ნახევარმცველია, უფრო მარჯვენა ფლანგზე თამაშობს, თუმც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თავდამსხმელად უფრო ირჯებოდა.



**ილია ნანობაშვილი**

განახლდა საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ოთხი საშინაო მატჩის აბონემენტების გაყიდვა.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო — ირლანდიის შესარჩევი მატჩი არ გაიმართა თბილისში და ეროვნული გუნდი შინ ოთხ ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს. აბონემენტების ფასები შეიცვალა: 150-ლარიანი აბონემენტი დღეიდან ეღირება 120 ლარი (დასავლეთ ტრიბუნა, III იარუსი, მე-9 სექტორი), 50-ლარიანი — 40 ლარი (დასავლეთ ტრიბუნა II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი — 20 ლარი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

20 და 40-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაეცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფი, ხოლო 120-ლარიანი აბონემენტის მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით, 50 ლარად შეუძლიათ შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური.

სამივე სახის აბონემენტების მფლობელები უფასოდ დაესწრებიან საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო ამხანაგურ მატჩებს.

იმ პირებს, რომლებმაც აბონემენტები ადრინდელ ფასში შეიძინეს, თანხის დაბრუნების მიზნით შეუძლიათ დაუკავშირდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. საკონტაქტო პირი — რევაზ შენგელია (ტელ: 91-26-60).




საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი ლევან სილაგაძე „სიონსა“ და „ოლიმპში“ თამაშის მერე აზერბაიჯანში გადავიდა, კახა ცხადაძის გაწვრთნილ ბაქოს „სტანდარდშია“ და იქაურმა ჟურნალისტმა ინტერვიუც ჩამოართვა. ისე, მეზობელი ქვეყნის ჟურნალისტები მაინცდამაინც ვერ უნდა იყვნენ გარკვეული ქართულ ფეხბურთში — მაგალითად, რუსთავის „ოლიმპის“ ნაცვლად „ოლიმპიკი“ უწერიათ და არც ის იცოდნენ, რომ სილაგაძე „დინამოშიც“ თამაშობდა...

# ლევან სილაგაძე: სტანდარდს ახლა უფრო გაუიოლდება

— საკმაოდ გვიან შეუერთდით „სტანდარდს“. ალბათ, უკეთესი გუნდისგან ელოდით წინადადებას...

— ასე ვერ ვიტყოდი. ვთამაშობდი რუსთავის „ოლიმპში“ და სანამ წამოვიდოდი, საქართველოს თასზეც ვითამაშე. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე კახა ცხადაძემ დამირეკა და „სტანდარდში“ მომიწვია. შეიძლება ითქვას, კონტრაქტის გაფორმება ბედად მოვასწარი.

— ცხადაძეს მანამდე იცნობდით?

— მე მის გაწვრთნილ „დინამოში“ ვთამაშობდი.

— საიდუმლო არ არის, რომ „სტანდარდს“ არ ჰყავს ფეხბურთელი, რომელიც გუნდს ულიდერებს...

— მე მცველი ვარ, თუმც „დინამოში“ ცენტრალურ ნახევარმცველადაც ვთამაშობდი. ასე რომ, სადაც გუნდს დავჭირდები, იქ შემიძლია ვითამაშო.

— ალბათ, იმიტომაც მოგიყვანეს, რომ „სტანდარდის“ თამაში სტაბილური გახდეს. ეს გუნდი ერთ მატჩს რომ კარგად ატარებს, მერე ჩავარდნა აქვს და ასე შემდეგ-

— ვფიქრობ, სტაბილურობას დრო სჭირდება. ნახეთ, როგორ წააგო „რომამ“ რუმინულ „კლუჟთან“?! ეს ყველაფერი ფეხბურთის ნაწილია და მას ვერ გაექცევი. თუმცა მე ჩემზე დაკისრებული ამოცანის შესრულებას ბოლომდე შევეცდები.

— 2004 წელს ყაზანის „რუბინში“ თამაშობდით და სენსაცია მოახდინეთ, როცა რუსეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გახვედით. შეუძლია „სტანდარდს“ ასეთი სენსაციის გამოცხობა?

— ყველაფერი შესაძლებელია... არასტაბილურობის მიუხედავად, „სტანდარდმა“ კარგად დაიწყო ჩემპიონატი. გავითვალისწინოთ, რომ განვლილ ოთხ ტურში სულ ძლიერ გუნდებთან ვითამაშეთ, ახლა კი ცოტა შეგვიმსუბუქდება საქმე.

— სხვათა შორის, უახლოეს ტურში ერთ-ერთ აუტსაიდერს ხვდებით...

— დიახ, „ბაკილის“. თუმც ჯერ ოთხი ტური გავიდა და აუტსაიდერობაზე ლაპარაკი ნაადრევი მგონია. ამ ეტაპზე მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგმა გუნდმა კარგად დაიწყო ჩემპიონატი, ზოგმა კი ცუდად. ჩვენ უნდა ვეცადოთ, „ბაკილი“ დავამარცხოთ და რაიმე ექსტრაორდინალური არ ჩავიდინოთ.

— „სტანდარდში“ ბევრი ქართველია და როგორ ფიქრობთ, ეს გუნდისთვის კარგია?

— აზერბაიჯანი და საქართველო მეზობელი ქვეყნები არიან. სხვა უცხოელებისგან განსხვავებით, ჩვენ იოლად გავდივართ ადაპტაციას, არც ენის ბარიერი გვაქვს. თუმცა ყველაზე მთავარი ისაა, რამდენად გამოვიჩენთ ქართველი ფეხბურთელები თავს მინდორზე.

— და აზერბაიჯანულ ფეხბურთს ამდენი ლეგიონერის ჩამოყვანა არ ვნებს?

— თუ განსაზღვრული პროგრამა გაქვს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისთვის, ჯობია, კარგი ლეგიონერები ჩამოიყვანო, რადგან მათ გვერდით ადგილობრივები ბევრს ისწავლიან. მერე კი ლეგიონერთა რიცხვი უნდა შემცირდეს.

— საქართველოს ნაკრებში თამაშის საკმაო გამოცდილებაც გაქვთ...

— ოთხი წელი ვთამაშობდი, სულ 26 მატჩი ჩამიტარებია. ბოლოს 2003 წელს თბილისში იტალიასთან ვითამაშე, 1:2 წავაგეთ.




სარბიელელები
ვულოცავთ „ზესტაფონის“
მცველ შალვა
ლონლაძეს ვაჟის
გიორგის
დაბადებას!
სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს!

საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
სტატისტიკა

# ციფრული


გიორგი ლორია
ბაჩანა კოპალიანის ფოტო

ხვალ და ზეგ საქართველოს საიუბილეო, მე-20 ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები გაიმართება და ასე ნელ-ნელა გაუყვება იმ გზას, რომლის ბოლოს ჩემპიონიც გაირკვევა და ის წყალნაღებულებიც, გაისად პირველ ლიგაში რომ ჩაინაცვლებენ. ჯერჯერობით რაიმე დასკვნებისა და პროგნოზების გაკეთება, ცხადია, ნაადრევია, თანაც ქვეყანაში შექმნილმა საომარმა ვითარებამ ჩემპიონატის კალენდარიც ხომ გადაასხვაფერა და უმაღლესში დარჩენილ 11 გუნდს დაგეგმილი მოსამზადებელი პერიოდიც მნიშვნელოვნად აურია. საქმე ისეც კი იყო, ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ზუგდიდის „მგლები“, ცხინვალის „სპარტაკი“, „ბორჯომი“ და ახალციხის „მესხეთი“ მთლად უვარჯიშებლები დარჩნენ და შეიძლება ითქვას, საქმის ნაუცბათევად დაწყება მოუხდათ.
ამ რია-რიაში უჩვეულოდ დიდხანს ღია იყო სატრანსფერო ფანჯარა, რითაც რამდენიმე გუნდმა ისარგებლა და სასურველი ფეხბურთელები ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რამდენიმე საათით ადრე გადაიბირა...
ახლა კი, როცა ჩემპიონატის პირველი ტური უკვე მოლეულია და მეორეს ველით, უმაღლესი ლიგის თერთმეტივე გუნდი საბოლოოდ დაკომპლექტებული და განაცხადები დამოწმებულია, რამდენიმე საინტერესო, ზოგადად გუნდური თუ კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების გამოთვლა გადავწყვიტეთ.
ხელთ გვაქვს რა უმაღლესი ლიგის ყველა გუნდის განაცხადი, აი, ასეთი სტატისტიკური შედეგები მივიღეთ...

### საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდული გუნდი

„გაგრა“ — უმაღლესი ლიგის დებიუტანტის ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 21 წელი გახლავთ.
მართალია, ამ გუნდის საჩემპიონატო განაცხადში სულ 15 ფეხბურთელია, მაგრამ ისინი, ვინც გაგრელებს ფარმ-კლუბში ჰყავთ გაფორმებული და უმაღლეს ლიგაში გამოყენება შეუძლიათ, საერთოგუნდურ ასაკობრივ სურათს მნიშვნელოვნად ვერ შეცვლიან — ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდების აბსოლუტური უმრავლესობა 19-20 წლისანი არიან.

### ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვანი გუნდი

„მესხეთი“ — როცა 21 ახალციხელი ფეხბურთელის საშუალო ასაკი დავიანგარიშეთ, 26 მივიღეთ.
კობა თედიაშვილმა გუნდში საკმაოდ ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი შეკრიბა, მათგან რამდენიმე კი მწვრთნელმა სწორედ სატრანსფერო პერიოდის გახანგრძლივების შედეგად დაიმატა.
ალბათ საინტერესო იქნება დანარჩენი ცხრა გუნდის საშუალო ასაკიც:
„მგლები“ — 21,3 წელი
„ბორჯომი“ — 22,3
„სპარტაკი“ — 22,3
„ვიტ ჯორჯია“ — 23
„დინამო“ — 23,5
„ლოკომოტივი“ — 24
„ზესტაფონი“ — 24,9
„სიონი“ — 25,5
„ოლიმპი“ — 25,7

### მწვრთნელები

ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ხნიერი მწვრთნელი „დინამოს“ ჰყავს — რაინერ ცობელი 60 წლის გახლავთ. ყველაზე ახალგაზრდა კი ცობელის ლოკომოტიველი კოლეგა, 32 წლის გიორგი კიკნაძე არის.

### ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი

„ბორჯომის“ ნახევარმცველი ალექსი იობაშვილი ახლა 16 წლის, 5 თვისა და 13 დღის არის და საინტერესოა, რა სიხშირით მიეცემა ამ ჭაბუკს თავის გამოჩენის საშუალება.

### ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი

„ზესტაფონისა“ და მთლიანად ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდი ზურაბ იონანიძე 36 წლის, 9 თვისა და 17 დღის გახლავთ.
იონანიძე კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს და ფეხბურთიდან დღესვე რომც წავიდეს, ვფიქრობთ, მისი რეკორდი კიდევ კარგა ხანს ვინმემ მოხსნას — იონანიძეს მხოლოდ უმაღლეს ლიგაში 200-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი.
ისე, საინტერესო კი იქნება იო-


არდალიონ მიქაბერიძე
ბაჩანა კოპალიანის ფოტო


„გაგრა“ - ყველაზე ახალგაზრდული გუნდი
ბაჩანა კოპალიანის ფოტო

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
### უმაღლესი ლიგა — სტატისტიკა

# ეროვნული

ნანიძისა და იობაშვილის დაპირისპირება.

### ყველაზე მაღალი ფეხბურთელი

თბილისის „დინამოსა" და ბოლო დროს ჩვენი ეროვნული გუნდის მეკარე გიორგი ლორია 196 სანტიმეტრი გახლავთ.

### ყველაზე დაბალი ფეხბურთელი

ბოლნისის „სიონისა" და მთლიანად ჩემპიონატის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე სულიკო დავითაშვილი 165 სანტიმეტრია.

### ყველაზე მძიმე ფეხბურთელი

„ვიტ ჯორჯიას" მეკარე არდალიონ მიქაბერიძე 88 კილოგრამია, თუმცა კი მას სიმაღლეც შესაბამისი აქვს — ის დინამოელ კოლეგას 3 სანტიმეტრითღა ჩამორჩება.

### ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი

„ზესტაფონიდან" რუსთავის „ოლიმპში" გადასული გოგი ფიფია წონის შესაფერისად საკმაოდ მკვირცხლი, ვერცხლისწყალივით მოძრავი თავდამსხმელია — ის სულ რაღაც 58 კილოგრამს იწონის.

### ლეგიონერები

წლეულს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 11 უცხოელი ფეხბურთელის გვარს შევხვდებით.

ხუთ-ხუთი ლეგიონერი „დინამოსა" და „ზესტაფონს" ჰყავთ, ერთიც — „ოლიმპს".

სლოვაკი მილოშ კრკშო, გაბონელები, დიდიე ოვონო და ჟორჟ აკირემი, კამერუნელი დონალდ ჯიუსი და ჩერნოგორიელი ილია სპასოევიჩი „დინამოში" არიან, ბრაზილიელები ჟილვან ვიეირა, ედსონ სანტოსი, ჟონატას ტორესი და კამერუნელები, ერიკ რომეო ჩასემი და ბოიომო ფრიდოლინი — „ზესტაფონში", ხოლო გაბონელი ერნესტ აკუასაგა „ოლიმპში" თამაშობს.

ამ ლეგიონერთაგან ყველაზე უფროსი 29 წლის დინამოელი მილოშ კრშკო არის, უმცროსი, ასევე დინამოელი ჯიუსი — 18 წლის.

### ტყუპები

წლეულს უმაღლეს ლიგაში ორი წყვილი ტყუპი ძმა ითამაშებს — პავლე და ვალტერ ხორგუაშვილები „ბორჯომში" არიან, ხოლო დავით და ლევან ჩაგელიშვილები „ლოკომოტივში".

ხორგუაშვილებიც და ჩაგელიშვილებიც 20-20 წლისანი გახლავთ.

### ძმები

როინ კვასხვაძე და ნიკა კვასხვაძე „ზესტაფონში" თამაშობენ. შოთა და გურამ კაშიები „დინამოში", ხოლო ალექსანდრე კვახაძისა და გიორგი კვახაძის „გუნდური" გზები გაყოფილია, ერთი „ვიტ ჯორჯიაშია", მეორე — „ლოკომოტივში".

### მამა-შვილი

ახალციხის „მესხეთის" მწვრთნელ კობა თედიაშვილის ვაჟი ლევან თედიაშვილი ამავე გუნდის ფეხბურთელია.

### მოგვარეები

არ გაგიკვირდებათ, როდესაც მატჩების რეპორტაჟებისას ოქმში ბევრ ფეხბურთელს ინიციალებსაც რომ დავურთავთ-ხოლმე. სულ მარტივი ამბავია, ჩვენს ჩემპიონატში ერთი გვარის ფეხბურთელები მრავლად არიან: ზაზა და გიორგი ჭელიძეები, გაგა და ზვიად ჩხეტიანები, გიორგი და როინ ონიანები, ზამორა და ლევან დათუნაშვილები, გიორგი და გიორგი ხიდეშელები, ნიკა და ილია ჯიშკარიანები, ნუკრი და კახა გოგოხიები, ლადო და ირაკლი ახალაიები, სევასტი და გია თოდუები, ლევან და არჩილ ბაჯელიძეები, ბექა და ნოდარ ნოზაძეები, გიორგი და ლევან მერებაშვილები, ბექა და რევაზ გოცირიძეები, აქსენტი და სოსო გილაურები, შოთა და ლევან გრიგალაშვილები, არდალიონ და გიორგი მიქაბერიძეები.

და კიდევ: შალვა, თემურ და მამუკა ლონღაძეები.

### ერთ დღეს დაბადებულები

ყველაზე მეტი, ოთხი ფეხბურთელია დაბადებული 23 აპრილს: გიორგი ფეიქრიშვილი (ოლიმპი), ნიკა სტეფანიშვილი (ზესტაფონი), გიორგი ცხადაია (გაგრა) და ჟორჟ აკირემი (დინამო).

საინტერესოა, რომ 11 ლეგიონერიდან ოთხი — ფრიდოლინი, აკირემი, ვიეირა და ჟონატასი — აპრილში არიან დაბადებულნი.

ისე კი, ყველაზე მეტი, 31 ფეხბურთელის დღეობა თებერვალშია, ხოლო ყველაზე ცოტა, 14 — მაისში.

თებერვალი — 31
ნოემბერი — 26
აპრილი — 22
სექტემბერი — 21
იანვარი — 20
ივნისი — 20
ოქტომბერი — 20
აგვისტო — 17
ივლისი — 17
დეკემბერი — 16
მარტი — 15
მაისი — 14.

*აი, ასე გამოიხატება საიუბილეო ჩემპიონატი ციფრებში. დანარჩენი კი, უფროს-უმცროსი, მაღალ-დაბალი, მძიმე და მსუბუქი მოედანზე გამოჩნდება... თუმცა მოედანი ხომ ამგვარ სტატისტიკას არ ცნობს, იქ მხოლოდ გოლები და ქულები ითვლება.*

**კობა ინასარიძე**



რაინერ ცობელი



გიორგი კიკნაძე



ზურაბ იონანიძე




„მესხეთი": ყველაზე ასაკოვანი გუნდი




სულიკო დავითაშვილი




გოგი ფიფია

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. I ტური

## მაიკლი ხარ თუ მიქაელი?



მატეო ტრეფოლონიმ მიქაელ იაკობსენი მაიკლ ბიუჩემპისგან ვერ განასხვავა

**E ჯგუფი**

**მანჩესტერი 0:0 ვილიარეალი**

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ევანსი, ევრა, ნანი, ფლეტჩერი, ჰარგრივსი (ანდერსონი 62), პარკი (კრიშტიანუ რონალდუ 62), რუნი, ტევესი (გიგზი 81)
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელ ლოპესი, გოდინი, გონსალო, კაპდევილა, კანი (კასორლა 46), ეგურენი, მატი, ედმილსონი, პირესი (იბაგასა 67), ფრანკო (იორენტე 77)
**მწვრთნელი:** მანუელ პელეგრინი
**გაფრთხილება:** ფრანკო, ტევესი, იბაგასა, დიეგო ლოპესი
**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
74 944 მაყურებელი

**სელტიკი 0:0 ოლბორგი**

რობსონმა ვერ გაიტანა პენალტი (30)
**სელტიკი:** ბორუცი, ჰინკელი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, მელონი (ვენეგორ ოფ ჰესელინკი 72), რობსონი, ბრაუნი, ნაკამურა, სამარასი, მაკდონალდი (მაკგიდი 63)
**მწვრთნელი:** გორდონ სტრაჩანი
**ოლბორგი:** ზაზა, ბიუჩემპი, იაკობსენი, ოლფერსი, პედერსენი, კურტი (ნილსენი 86), იოჰანსონი, აუგუსტინუსენი, რისგარდი, ენევოლდსენი, საგანოვსკი
**მწვრთნელი:** ბრიუს რიოჩი
**გაფრთხილება:** მაკმანუსი, იოჰანსონი, სამარასი
**გაძევება:** ბიუჩემპი (80)
**მსაჯი:** მატეო სიმონე ტრეფოლონი (იტალია)
57 432 მაყურებელი

„**შენ** თუ არა, მაშ ვინ? — მკითხა მსაჯმა, მაგრამ მე თანაგუნდელს თითს ხომ ვერ დავადებდი? ძალიან გულგატეხილი ვარ. ჩვენთვის დიდებულ შედეგს მივაღწიეთ, გაძევებამ კი ხასიათი წამიხდინა. გაუგებარია, არბიტრმა ეპიზოდი როგორ ვერ დაინახა. ასეთი დონის მატჩებში მსგავსი შეცდომა არ უნდა მოსდიოდეს. ვიმედოვნებ, რომ კლუბი უეფაში იჩივლებს და წითელ ბარათს გამიუქმებენ" — თქვა „ოლბორგის" გაბრაზებულმა მცველმა მაიკლ ბიუჩემპმა.

მე-80 წუთზე გეორგიოს სამარასი მეკარესთან პირისპირ გადიოდა და მიქაელ იაკობსენმა წააქცია. იტალიელმა მსაჯმა მატეო ტრეფოლონიმ გვერდით არბიტრთან საუბრის შემდეგ უდანაშაულო ბიუჩემპი გააძევა.

იტალიელებმა კარგად ვერ გაარჩიეს, თუ ვინ წააქცია სამარასი, გაძევებულმა კი ტრეფოლონის კითხვაზე, შენ თუ არა, მაშ ვინ იყოო, არაფერი უპასუხა.

ათკაცა „ოლბორგმა" ქულა მაინც წაიღო გლაზგოდან, საიდანაც გაცილებით დიდი კლუბები ხელცარიელნი წასულან.

„სელტიკს" ბოლო ორ სეზონში ევროთასებზე ყველა საშინაო მატჩი ჰქონდა მოგებული, მაგრამ დანიურ კლუბთან სერია ველარ გააგრძელა.

მასპინძელთა მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი მაინც იმედიანადაა: „ჯგუფიდან გასვლის შანსი კვლავაც გვაქვს. მახსოვს, ერთხელ „რეინჯერსი" შვიდი ქულით გავიდა. ახლა სტუმრად მოგებას ვეცდებით. გასვლით მატჩებში ქულების აღება ძალიან გვიჭირს და ნავსი ამ სეზონში აუცილებლად უნდა გავტეხოთ".

პენალტის ვერგამტანმა ბარი რობსონმა კი განაცხადა: „მაინც დავარტყამ. კარიერაში ეს მეორე გაფუჭებული პენალტია. ბურთი კარგად ვერ „მოვჭერი" და ამიტომ კუთხეში არ წავიდა. თანაგუნდელები დავალალატე, მაგრამ რას იზამ, ზოგჯერ ასეც ხდება".

„მანჩესტერის" და „ვილიარეალის" ზედიზედ მესამე უგოლო ფრის შემდეგ ალექს ფერგიუსონმა თქვა: „კარგი ფეხბურთი გამოვიდა და მეტოქეებმა რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს.

ჩემი გუნდის თამაშში ბევრი დადებითი დავინახე, ბიჭები ფეხბურთისგან სიამოვნებას იღებენ. ეს შეხვედრა უნდა მოგვეგო.

ძირითად შემადგენლობაში ნანის და ჰარგრივსის დაყენება გადავწყვიტე და მათთვის ეს სეზონში პირველი მატჩი იყო.

ფრე ცუდი შედეგი არაა, მაგრამ სამი ქულა მერჩივნა. კარგია, რომ ჯგუფის მეორე შეხვედრაც ფრედ დასრულდა.

ვეთანხმები მათ, ვინც ამბობს, რომ შეტევაში რაღაც გვაკლია და კრიშტიანუ რონალდუს დაბრუნებით, ამ ნაკლსაც ეშველება".

მანუელ პელეგრინი: „მომდევნო 27 დღეში ბევრი მატჩი გველის და ამიტომ ზოგს დასვენების და ზოგსაც თავის გამოჩენის შანსი მივეცი.

ყველა ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა უნდა ჰქონდეს. ვფიქრობ, რომ მეორე ტაიმში ბურთსაც მეტხანს ვფლობდით და მეტი მომენტიც შევქმენით. ჩვენი სამი ფორვარდი ახლა ოპტიმალურ ფორმაში არაა. ერთ კვირაში ნიჰატი და როსი გამოკეთდებიან და შეტევაში უკეთ ვითამაშებთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სელტიკი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მანჩესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |

## იეზს ჯილას დუბლი არ ეყოთ

**F ჯგუფი**

**ლიონი 2:2 ფიორენტინა**

0:1 0:2 ჯილარდინო (12, 42), 1:2 პიკიონი (73), 2:2 ბენზემა (86)
**ლიონი:** ლორისი, რევეიერი, ბუმსონგი, ბოდმერი, კალსტრიომი, ტულალანი, მაკუნი (ედერსონი 60), ჟუნინიო, გოვუ (მუნიე 89), ბენზემა, ფრედი (პიკიონი 65)
**მწვრთნელი:** კლოდ პიუელი
**ფიორენტინა:** ფრეი, ძაური (იორგენსენი 76), კროლდრუპი, დაინელი, ვარგასი, კუზმანოვიჩი (სანტანა 64), ფელიპე მელუ, მონტოლივო, ალმირონი, ჯილარდინო (პაცინი 81), მუტუ
**მწვრთნელი:** ჩეზარე პრანდელი
**გაფრთხილება:** დაინელი, ფელიპე, ჯილარდინო, ბენზემა, იორგენსენი
**მსაჯი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
43 000 მაყურებელი

**სტიაუა 0:1 ბაიერნი**

0:1 ვან ბუიტენი (15)
**სტიაუა:** საპატა, ოგარარუ, გოიანი, გიონეა, მარინი, სემედუ, ლოვინი, მორენო, ტონა (პეტრე 77), სეკვე (კაპეტანოსი 82), ბერნჰარდტი (სტანჩუ 71)
**მწვრთნელი:** მარიუს ლეკეტუში
**ბაიერნი:** რენზინგი, ლელი, ლუსიო, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი (ბოროვსკი 84), ზე რობერტო (ოტლი 75), ტონი, კლოზე (პოდოლსკი 46)
**მწვრთნელი:** იურგენ კლინსმანი
**გაფრთხილება:** გოიანი, ლოვინი, პოდოლსკი
**მსაჯი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)
15 000 მაყურებელი

**ჩეზარე პრანდელის** სიმპათიური „ფიორენტინა", ბოლო წლებში ჩემპიონთა ლიგაში თამაშის მრივ გაცილებით დიდი გამოცდილების მქონე „ლიონს" „სტად ჟერლანზე" 2:0-ს უგებდა. თუმცა „იებმა" მაინც ვერ შეძლეს სამი ქულის მოპოვება და ოდენ ქულას დასჯერდნენ.

ფლორენციელთა მხრიდან ორივე გოლი ჩინებულ ფორმაში მყოფმა ალბერტო ჯილარდინომ გაიტანა, ორივე — კოხტა თავურით. პირველად „ჯილას" ასისტენტობა ზდრავკო კუზმანოვიჩმა გაუწია, მეორედ კი ადრიან მუტუმ.

ლიონელები ბევრს უტევდნენ და მომენტებსაც მრავლად ქმნიდნენ. ამან შედეგი 73-ე წუთზე გამოიღო, როცა შეცვლაზე შესულმა ფრედერიკ პიკიონმა ქარიმ ბენზემას პასი შეირგო. 86-ეზე კი ჟუნინიოს მორიგი მწვავე საჯარიმოსას ბენზემამ ზუსტად დაარტყა, ბურთი გზად ფელიპე მელუს შეეხო და სებასტიან ფრეის კარში შევარდა — 2:2.

„ლიონის" მწვრთნელი კლოდ პიუელი: „კარგად დავიწყეთ, მაგრამ პირველმა გაშვებულმა გოლმა ყველაფერი აგვირია. დაცვაში სულელურ შეცდომებს ვუშვებდით. მიუხედავად ამისა, მობილიზება შევძელით და მებრძოლი ხასიათი გამოვავლინეთ. ჩემპიონთა ლიგაში 0:2-ის ამოქაჩვა ადვილი არ არის. მთლიანობაში, შედეგითა და თამაშით, არცთუ უკმაყოფილო ვარ. ჯგუფური ეტაპის ბოლოს გამოჩნდება, ეს ქულა ხელს შეგვიწყობს თუ პირიქით".

„ეს იყო კარგი მატჩი, ბრწყინვალე გუნდის წინააღმდეგ, რომელსაც ამ ტურნირზე შორს წასვლა შეუძლია და მეტიც, 0:2-ის მერე მოგებაც შეეძლო. „ლიონმა" ეს ქულა ნამდვილად დაისმახურა. პირველი გაშვებული გოლის მერე ძალიან ავირიეთ. ეს შეხვედრა სათანადოდ უნდა გავაანალიზოთ, თუ თამაშის გაუმჯობესება გვსურს. ვფიქრობ, ჩვენი პრობლემები უფრო ფსიქოლოგიური ხასიათის გახლდათ, ვიდრე ფიზიკურის" — თქვა პრანდელიმ.

„ბაიერნმა" დიდი ოფლისღვრით მოიპოვა ბუქარესტში გამარჯვება და პირველი ტურის მერე ჯგუფის ლიდერად იქცა. არადა, თავისუფლად შეიძლებოდა, ეს თანაბარი მატჩი ნებისმიერი შედეგით დასრულებულიყო. თუმცა „სტიაუამ" ვერცერთი მომენტი ვერ გამოიყენა და რუმინელებს ცოტა იღბალმაც უმტყუნათ.

ერთადერთი გოლი „ბაიერნმა" მე-15 წუთზე გაიტანა — ბასტიან შვაინშტაიგერის საჯარიმოდან ჩაწოდებულს დანიელ ვან ბუიტენმა შეაგება თავი.

„ცოტა იმედგაცრუებული ვარ. იმედი მქონდა, ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელის სისწრაფეს კონტრიერიშებისას გამოვიყენებდით, მაგრამ ასე არ მოხდა, თან ადრეული გოლი გავუშვით. აგრესიულობაც გვაკლდა. თუმცა ნელნელა გამოვასწორეთ თამაში და მომენტებიც შევქმენით, მაგრამ არ გაგვიმართლა. მიუნხენელთა სუსტი წერტილების შესახებ ჩემს შეგირდებს ბევრი ვესაუბრე, მაგრამ „ბაიერნის" ეს ხარვეზები ვერ გამოვიყენეთ. სამწუხაროა, რომ ტურნირი საშინაო მარცხით დავიწყეთ. ახლა მომავალ შეხვედრებზე უნდა ვიფიქროთ" — განაცხადა „სტიაუას" მწვრთნელმა მარიუშ ლეკეტუშმა.

„ბაიერნის" თავკაცი იურგენ კლინსმანი: „ცხდია, კმაყოფილები ვართ ამ საგარეო მოგებით, თუმცა პირველ ტაიმში მეტი გოლი უნდა გაგვეტანა, რათა მშვიდად ვყოფილიყავით. მეორე ნახევარში „სტიაუამ" ძელსაც გაარტყა ბურთი და პრობლემები შეგვიქმნა. თუმცა ანგარიშის შენარჩუნება შევძელით, რაც მთავარია".



ჯილარდინომ ლიონელები თავურებით დასეტყვა

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ფიორენტინა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ლიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სტიაუა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. I ტური

## ვენგერი გაქურდეს

### G ჯგუფი

**დინამო 1:1 არსენალი**

1:0 ბანგურა (64პ), 1:1 გალასი (88)
**დინამო:** ბოგუში, ნესმაჩნი, მიხალიკი, დიაკატე, ბეტაუ, იუსუფი (ასათიანი 90), ვუკოიევიჩი, ნინკოვიჩი, ალიევი, ერიომენკო, ბანგურა (კრავეცი 90)
მწვრთნელი: იური სიომინი
**არსენალი:** ალმუნია, კლიში, გალასი, ტური, სანია (ებუე 78), დენილსონი, სონგი (ბენდტნერი 70), ფაბრეგასი, უოლკოტი, ადებაიორი, ვან პერსი (ველა 84)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ნესმაჩნი, სანია, ბანგურა, ვუკოიევიჩი, დიაკატე
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
20 000 მაყურებელი

**პორტუ 3:1 ფენერბაჰჩე**

1:0 ლისანდრო ლოპესი (11), 2:0 ლუჩო გონსალესი (13), 2:1 გუისა (29), 3:1 ლინო (90)
**პორტუ:** ელტონი, როლანდუ, ბრუნო ალვეში, საპუნარუ, ფერნანდუ, მარიანო გონსალესი (ულკი 60), ბენიტესი, რაულ მეირელეში (კოსტა 67), ლუჩო გონსალესი, კრისტიან როდრიგესი (ლინუ 90), ლისანდრო ლოპესი
მწვრთნელი: ჟესუალდუ ფერეირა
**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, ლუგანო, იასინი, გიოქჰანი, რობერტო კარლოსი, მალდონადო, ალექსი, ემრე, სელჩუქი (ხოსიკო 46, ბურაქი 53), უღურ ბორალი (ქაზიმი 76), გუისა
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: საპუნარუ, ლუგანო, გუისა
მსაჯი: ბერტრან ლეიუკი (საფრანგეთი)
43 000 მაყურებელი



არსენ ვენგერი: „როცა ფორვარდებს ვერ გააქვთ, გალასისნაირი მებრძოლი ფეხბურთელის ჩართვაა საჭირო შეტევაში"

**„მასპინძელთა** მარცხენა მცველი, სულ მცირე, სამჯერ იყო გასაძევებელი, რადგან უოლკოტზე აშკარად ნადირობდა — თქვა გაბრაზებულმა არსენ ვენგერმა — ისიც გაუგებარია, სამი დამატებული წუთიდან რატომ მოგვპარეს ორი და მხოლოდ ერთი გვათამაშეს. გამოდის, რომ ყველა მსაჯს დროის თავისი საზომი აქვს. მე მათი ვერაფერი ვერ გავიგე.

რაც შეეხება 11-მეტრიანს, ძალიან საეჭვო იყო, მაგრამ ახლა უკვე გვიანაა. ბოლოს ჩვენ უკეთ ავთამაშდით, „დინამო" კი დაიღალა და ვინ იცის, იმ ორ მოპარულ წუთში ეგებ კიდევ გაგვეტანა.

პირველ ტაიმში ასპროცენტიანი მომენტი რომ ვერ გამოვიყენეთ, საწყენია, მაგრამ მატჩის მიწურულს ქულა რომ გადავარჩინეთ, ეს უკვე სასიხარულოა.

როცა ფორვარდებს ვერ გააქვთ, გალასისნაირი მებრძოლი ფეხბურთელის ჩართვაა საჭირო შეტევაში. მას მსგავსი რამ არაერთხელ გაუკეთებია და ამჯერადაც მარცხისგან გვიხსნა".

იური სიომინი: „მატჩამდე ვინმეს რომ ეთქვა, „არსენალთან" ფრეს ითამაშებთო, ალბათ მადლობელი დავრჩებოდი, მაგრამ რაკი გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით და სამი ქულა ვერ ავიღეთ, გული დამწყდა.

ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, რომ მაღალი კლასის ფეხბურთი ვითამაშეთ, ბოლოს კი ერთი შეცდომა გოლად დაგვიჯდა. „არსენალის" დონის კლუბები ასეთ შეცდომებს არ პატიობენ.

მეორე ტაიმის მიწურულს საკუთარ საჯარიმოსთან გამოგვამწყვდიეს. ფაქტობრივად, ოთხი ფორვარდით გვიტევდნენ და ასეთ დროს, დაცვა ძალიან ძნელია".

„ფენერბაჰჩეს" მწვრთნელმა ლუის არაგონესმა „პორტუსთან" მარცხის შემდეგ დაცვის სისუსტეზე ისაუბრა: „თამაში 13 წუთში წავაგეთ. მატჩამდე ბიჭები გავაფრთხილე, რომ მასპინძლები თავიდანვე სწრაფად და მძლავრად შეგვიტევდნენ. გაუგებარია, „ფენერბაჰჩეს" გამოცდილი დაცვა ზედიზედ ორჯერ როგორ შეცდა და რატომ მისცეს მეტოქეს ასე თავისუფლად ნავარდის უფლება.

ორმა სწრაფმა გოლმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

მეორე ტაიმში [illegible] გადაც შევუტიეთ, მაგრამ როცა ვერ გაგაქვს, ადრე თუ გვიან, გაუშვებ. ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა.

ამ მარცხს ობიექტური მიზეზებიც აქვს. ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა და ეს თამაშს დაეტყო. წაგების მიუხედავად, „ფენერის" ფანებს ვარწმუნებ, რომ ჩვენ სწორი გზით მივდივართ.

ჩემპიონატშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც ცუდი სტარტი გვქონდა, თუმც შეჯიბრი ახალდაწყებულია და ვითარებას გამოვასწორებთ".

„პორტუს" მწვრთნელი ჟესუალდუ ფერეირა: „ჩემმა ფეხბურთელებმა დავალება ფრიადზე შეასრულეს და საწყის 25 წუთში საუცხოოდ ითამაშეს, თუმც ნახევარი საათის შემდეგ ზოგიერთი უკვე დაღლილი ჩანდა.

ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში ვერ ვიგებდით და ეს გამარჯვება მით უფრო სასიხარულოა, თან ძირითად შემადგენლობაში მყავდა 5 ფეხბურთელი, რომლებსაც ლიგაში მანამდე არ უთამაშიათ".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| არსენალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ფენერბაჰჩე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

## პინტურიკიომ გოლი დახატა

### H ჯგუფი

**რეალი 2:0 ბატე**

1:0 სერხიო რამოსი (11), 2:0 ვან ნისტელროი (57)
**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, პეპე, მარსელუ, ვან დერ ვაარტი, გაგო (დიარა 36), გუტი (იგუაინი 68), რობენი (დრენტე 61), რაული, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
**ბატე:** ვერემკო, ხაგუში, რჟევსკი, სოსნოვსკი, იურევიჩი, ნეხაიჩიკი, სივაკოვი, კრივეცი, ლიხტაროვიჩი (ვოლოდკო 58), სტასევიჩი (ჟავნერჩიკი 46), მირჩევი (კაზანცევი 64)
მწვრთნელი: ვიქტორ გონჩარენკო
გაფრთხილება: ხაგუში, ხაგუში, კრივეცი
გაძევება: ხაგუში (62)
მსაჯი: ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)
65 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:0 ზენიტი**

1:0 დელ პიერო (76)
**იუვენტუსი:** ბუფონი, გრიგერა, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო (დე ჩელიე 57), კამორანეზი (სალიჰამიჯიჩი 32), სისოკო, პოულსენი, ნედვედი, ტრეზეგე (ამაური 87), დელ პიერო
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
**ზენიტი:** მალაფეევი, ანიუკოვი, კრიჟანაცი, პუიგრენიე, შირლი, ზირიანოვი (დომინგესი 80), დენისოვი, ტიმოშჩუკი, არშავინი, პოგრებნიაკი, დანი
მწვრთნელი: დიკ ადვოკატი
გაფრთხილება: პოგრებნიაკი, შირლი, სალიჰამიჯიჩი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია)
22 000 მაყურებელი

**გახარებული** ტურინელი ფანების თვალწინ, „იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგას გამარჯვებით დაუბრუნდა, მაგრამ ამას ტურინელები თავიანთ სიმბოლოსა და კაპიტანს ალესანდრო დელ პიეროს უნდა უმადლოდნენ. „პინტურიკიო" რომ არა, „ბებერი ქალბატონი" ალბათ ვერ მოიგებდა.

კლაუდიო რანიერის შეგირდები თავიდანვე კი აქტიურობდნენ და ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ საკმაოდ მწყობრად და კარგად მოთამაშე „ზენიტის" კართან მწვავე მომენტები იშვიათად იქმნებოდა.

დელ პიეროს ჩაწოდებული ჯარიმისას, მაურო კამორანეზის თავური ძელს მოხვდა. გოლამდე „იუვემ" ასეთი სახიფათო მომენტები ველარ შექმნა. „ზენიტმა" კი ერთი ძალიან მწვავე კონტრიერიში გამოაცხო.

76-ე წუთზე პაველ ნედვედი წააქციეს, კარამდე დაახლოებით 30 მეტრი იყო და ბურთთან, ცხადია, დელ პიერო მივიდა. მან ძალიან ოსტატურად დაარტყა და ტრაექტორიაშეცვლილი ბურთი ვიაჩესლავ მალაფეევის კარში შევარდა. ეს გახლდათ „პინტურიკიოს" 34-ე გოლი ჩემპიონთა ლიგაში ჩატარებულ მე-80 მატჩი.

აღსანიშნავია, რომ ამ გოლში მეკარის დადანაშაულება მაინც შეიძლება, რადგან მან აშკარად ზედმეტი მოძრაობა გააკეთა და ორიენტაცია დაკარგა.

კლაუდიო რანიერი: „მომეწონა ჩვენი გოლი და მატჩის შედეგი. თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ შეხვედრის ბოლო ნაწილი კარგად ჩავატარეთ, თან მიუხედავად იმისა, რომ „ზენიტი" ახლა ფიზიკურად ალბათ ჩვენზე უკეთაა მომზადებული — სერია A სულ ახლახან დაიწყო. ეს იყო ძალიან დაძაბული, ტაქტიკური მატჩი. მოხარული ვარ, რომ ვიმარჯვეთ. დადასტურდა, რომ ძალიან რთულ ჯგუფში ვართ".

„გულდაწყვეტილი ვარ, რადგამ რამდენიმე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. სანამ „იუვენტუსი" გაიტანდა, იქამდე უნდა გაგვეტანა, რაც ვერ შევძელით და დავისაჯეთ. ასეა თუ ისე, მახარებს, რომ „მანჩესტერისა" და „იუვენტუსის" დარ კლუბებს არაფერს ვუთმობთ, ეს გაზრდაში გვეხმარება. ძალიან ძნელია ალესანდრო დელ პიეროს დარ ჩემპიონებთან თამაში, მათ ერთი დარტყმით ყველაფრის შეცვლა შეუძლიათ. არ ვთვლი, რომ გაშვებული გოლისას ჩვენმა მეკარემ შეცდომა დაუშვა და საერთოდ, ცალკეულ ეპიზოდებზე საუბარი არ მიყვარს" — აღნიშნა სანქტპეტერბურგელთა მწვრთნელმა დიკ ადვოკატმა.

მადრიდის „რეალმა" კარგად ითამაშა, ბევრი მომენტი შექმნა და ცალი ფეხით მოუგო ბელარუსის ბატე-ს. „სამეფო კლუბს" კიდევ ბევრად მეტის გატანა შეეძლო, მით უმეტეს, რომ მინსკელები დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ათნი თამაშობდნენ. თუმცა ბერნდ შუსტერის გუნდმა ორი გოლი იკმარა.

„რეალის" პირველი გოლი რაფაელ ვან დერ ვაარტის ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა, ხოსე მარია გუტიმ სერხიო რამოსს უპასა და მასაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია. 57-ე წუთზე კი მაჰამადუ დიარამ რაულს გაუწია ასისტენტობა, ვისი დარტყმულიც სერგეი ვერემკომ მოიგერია, მაგრამ ბურთი ვლადიმირ რჟევსკის მოხვდა და კარისკენ დაბრუნდა, რუუდ ვან ნისტელროიმ მას ზედ ხაზზე მიუსწრო და ფეხი წაკრა, შედეგად ეს გოლი ჰოლანდიელ ფორვარდს ჩაეთვალა და ჩემპიონთა ლიგაში 54-ედ გაუფორმდა.

„ბევრად მეტი გოლის გატანა შეგვეძლო და უნდა გაგვეტანა კიდეც, ამიტომ, უკმაყოფილო ვარ. მოგება მახარებს, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა, დიდი ანგარიშით გვემარჯვა, რაც ჩვენთვისაც კარგი იქნებოდა და ფანებისთვისაც. სამწუხაროა, რომ ბიჭები ცოტა ინერტულები იყვნენ და შემართება აკლდათ" — თქვა შუსტერმა.



დელ პიეროს ამ მოქნეულს „ზენიტის" კარში სუპერგოლი მოჰყვა

ბატე-ს თავკაცი ვიქტორ გონჩარენკო: „ჩვენ პატარა გუნდი ვართ და ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი გვქონდა. ასე რომ, ეს შედეგი არც ისე ცუდია. „რეალზე" კარგის მეტი არაფერი მეტქმის. იმედია, ფეხბურთელები მიღებულ გამოცდილებას სათანადოდ გამოიყენებენ და ეს ზრდაში დაგვეხმარება".

**გიორგი ძაძაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ზენიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბატე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

# მაურო დაშავდა

**ტურინის** „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა მაურო კამორანეზიმ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში ტრავმა მიიღო და მოედნის დატოვება პირველივე ტაიმში მოუხდა. შეხვედრის 31-ე წუთზე კამორანეზი ჰასან სალიჰამიჯიჩმა შეცვალა.

# დეზები ჰუნტელარს უმიზნებენ

**ლონდონის** „ტოტენჰემი“ ამსტერდამის „აიაქსის“ თავდამსხმელით, კლას იან ჰუნტელარით დაინტერესდა. ზაფხულში ჰოლანდიელი ფორვარდის შეძენა გერმანულ „ჰამბურგს“ სურდა, მაგრამ ამსტერდამელებმა ფეხბურთელის გასხვისებაზე უარი განაცხადეს, რადგან გერმანელების მიერ შემოთავაზებული თანხა ეცოტავათ. გავრცელებული ინფორმაციით, „აიაქსის“ ხელმძღვანელობა ჰუნტელარს 30 მილიონ გირვანქაზე ნაკლებად არ შეელევა.

# გეორგიოს კარაგუნისი ერთი თვე დაისვენებს

**ბერძნული** „პანათინაიკოსის“ ნახევარმცველი გეორგიოს კარაგუნისი მოედანზე დაახლოებით ერთი თვე ვერ გავა. ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში მილანის „ინტერთან“ შეხვედრისას, საბერძნეთის ნაკრების ფეხბურთელმა მარცხენა ფეხის კოჭი დაიზიანა და 36-ე წუთზე შესაცვლელი გახდა.

# უტაკამ მუხლი იტკინა

**ინგლისური** „პორტსმუთის“ შემტევი ნახევარმცველი ჯონ უტაკა თავის გუნდს „გიმარაეშთან“ უეფას თასის პირველი რაუნდის მატჩში ვერ დაეხმარა. სამშაბათს ნიგერიელმა ფეხბურთელმა ვარჯიშის დროს მუხლის ტრავმა მიიღო და საგულდაგულო სამედიცინო შემოწმების გავლა მოუწევს.

# მიკუმ დაასრულა

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა ჟოან მიკუმ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 35 წლის ფეხბურთელმა ორი უკანასკნელი სეზონი „ბორდოში“ გაატარა, გასულ ზაფხულს კი კლუბმა მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება აღარ ისურვა. მიკუ სხვადასხვა დროს „კანის“, „პარმას“ და „ვერდერის“ ღირსებას იცავდა, ეროვნულ ნაკრებში კი 17 მატჩში ერთი გოლი აქვს გატანილი.

# მოიესს სასჯელი ემუქრება

**პრემიერლიგის** „ევერტონის“ დამრიგებელ დევიდ მოიესს დისკვალიფიკაცია ემუქრება. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში მისი საქციელი უკადრისად მიიჩნია. „სტოკ სიტისთან“ შეხვედრის 74-ე წუთზე „კანფეტების“ დამრიგებელი მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტების გამო, მოედნიდან მააბრძანეს. არბიტრმა „სტოკის“ მცველის საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაში არ დააფიქსირა. მოიესს 2 ოქტომბრამდე მოუწევს ამ ინციდენტთან დაკავშირებით ახსნა-განმარტების მიცემა და თუ 45 წლის სპეციალისტი დამნაშავედ ცნეს, მაშინ მას რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

# ოლირი და კაჭკაჭები

**„ნიუკასლ იუნაიტედის“** ხელმძღვანელობა კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის მთავარ კანდიდატად დევიდ ოლირის განიხილავს. 50 წლის ირლანდიელი სპეციალისტი უმუშევარი მას შემდეგაა, რაც 2006 წელს „ასტონ ვილას“ დაშორდა. აღსანიშნავია, რომ დევიდ ოლირის „კაჭკაჭების“ აღმასრულებელ დირექტორ დერეკ ლამზიასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, რამაც, შესაძლოა, მოლაპარაკებისას გადამწყვეტი როლი შეასრულოს. ოლირის მთავარ კონკურენტად „ვესტ ჰემის“ ყოფილი თავკაცი ალან კერბიშლი ითვლება.

# ბალაკს მოგების სჯერა

**ლონდონის** „ჩელსის“ ნახევარმცველ მიხაელ ბალაკს სჯერა, რომ კვირას მისი გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამარცხებას შეძლებს.

„ჩვენთვის ეს მატჩი კონკურენტებისგან თავის დაღწევის შესანიშნავი შანსია. თამაში ყოველთვის გიადვილდება, როდესაც ცხრილში შენს მეტოქეებზე უფრო მაღლა ხარ და მათ არ მისდევ“ — განაცხადა გერმანელმა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ ბალაკმა ტრავმა მოირჩინა და ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში „ბორდოსთან“ მატჩში შეცვლაზე შევიდა.

# ეშტონმა ტრავმა მიიღო

**ინგლისური** „ვესტ ჰემის“ თავდამსხმელი დინ ეშტონი რამდენიმე კვირით მწყობრიდან გამოვიდა. ფეხბურთელმა პრემიერლიგის პირველ ტურებში თავის გამოჩენა უკვე ორჯერ მოასწრო, მაგრამ ახლა ოქტომბრის შუამდე დასვენება მოუწევს.

„ორშაბათის ვარჯიშისას კოჭი დავიზიანე. ტრავმა არც ისე სერიოზულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფეხბურთის გარეშე ყოფნა სამიოთხი კვირა დავრჩები. ასეთი რამ ბევრ ფეხბურთელს მოსდის“ — აღნიშნა ტრავმირებულმა ეშტონმა.

**არჩილ ძოგახიძე**

# მწყემსი ღონიერი მკლავით



ეურელიუ გომეში



**„ტოტენჰემ ჰოთსპურის“** ახალი მეკარე, ეურელიუ გომეში სირთულეებს შეეგუა. კერძოდ, რომელს? მაგალითად, ბრიტანულ ამინდს, საჭეს მარჯვნივ, მოძრაობას პირიქით და ბევრ ასეთ წვრილმანმსხვილმანს...

„რასაკვირველია, კლიმატი თავის როლს თამაშობს. მერედა, ამასწინათ მანქანა ვიყიდე, რომლითაც უკვე მოვასწარი ტროტუარზე ასვლა. ერთი სიტყვით, ახლა მანქანა ბორბლების გარეშე მიდგას და მინდა გამოვცვალო, ეს ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ თქვენ, ინგლისელები, ქუჩაში პირიქით მოძრაობთ“ — სიცილით უთხრა ბრაზილიელმა „დეილი მეილის“ ჟურნალისტ საიმონ კლასს, რომელიც გვატყობინებს, რომ გომესი მეუღლე ფლავიასა და შვილებთან, ფლავიუსა და ლუიშ ფელიპესთან ერთად, გარეუბან ჩიგუელში დაბინავდა.

არ იფიქროთ, რომ გომეშის ვაჟ ფლავიუს სახელი დედის ხათრით დაარქვეს. ფლავიუ „ტოტენჰემის“ ახალი მეკარის ერთ-ერთ ძმას ერქვა, რომელიც ბიჭობაში საცურაო აუზში დაიხრჩო.

„კარგია, როდესაც ადამიანს ოჯახი თან გყავს — მსჯელობს გომეში — ასეთ დროს უფრო მშვიდად ხარ, რადგან შეგიძლია შინ მიხვიდე და გულისტკივილი ახლობლებს გაუზიარო. ადამიანი უნდა დაიცალოს, იმიტომ რომ, თუ პრობლემები ბოთლსავით გულში ჩააგროვა, მისთვისვე ინება ძალიან ცუდი. „ასტონ ვილასთან“ ცუდი გოლი გავუშვი. ამ ამბავმა კინაღამ მომკლა, მაგრამ შემდეგ შინ მივედი, ცოლს ველაპარაკე და ცოტა დავმშვიდდი“.

და მართლაც, თუკი ცხოვრებისადმი დამოკიდებულება ბრაზილიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, მინაშ ჟერაიშში გამოიმუშავე, სადაც „დეილი მეილის“ დღევანდელი სტუმარი დაიბადა და გაიზარდა, ინგლისური ნისლი და ყურადღების იშვიათი დაკარგვა გულს ვეღარ მოგიკლავს.

დიახ, გომეშის ბავშვობა იოლი არ ყოფილა. მამამისი ფერმაში მუშაობდა, დაქირავებული იყო. ოჯახი ცხოვრობდა სახლში, სადაც არ ჰქონდათ ელექტროობა, ასე რომ, ცხოვრება, რომელსაც „სპურზის“ მეკარე პატარაობიდან შეეჩვია, ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც დღევანდელ პროფესიონალ ფეხბურთელებს აკრავთ გარს.

„მამაჩემი დილის 4 საათზე დგებოდა, ჩვენ კი პატარები ვიავით და ცოტა მეტი ძილის ნებას გვრთავდა — განაგრძობს გოლკიპერი — ჩვენ ასე, ექვსისთვის ან შვიდისთვის ვდგებოდით და მშობლებს ყველაფერში ვეხმარებოდით. ძროხის მოწველა, ღობიის თუ სიმინდის დათესვა, ყველაფერი გვეხებოდა“.

შემდეგ, ოჯახს გაუმართლა: გომეშის დედამ სამუშაო ოდნავ მოზრდილ დასახლებულ პუნქტში, კანოეირუშში იშოვნა, ხოლო როდესაც მომავალ მეკარეს 11 წელი შეუსრულდა, ეურელიუ კიდევ უფრო დიდ ქალაქში, ტრეშ მარიაშში გადავიდა, სადაც მეორად სკოლაში დაიწყო სიარული. აქ იგი დასთან ცხოვრობდა და 49 კილომეტრით მოშორებულ მშობლებს უკვე იშვიათად ხედავდა.

გნებავთ გაიკვირვეთ, გნებავთ არა, მაგრამ ფეხბურთის თამაში გომეშმა მხოლოდ და მხოლოდ 14 წლისამ დაიწყო. რასაკვირველია, თავიდან თავდამსხმელობაზე ოცნებობდა, მაგრამ მწვრთნელმა ზორბა ტანისა და მკლავში ღონის გამო თანდათან მეკარედ აქცია.

შემდეგ იყო გუნდი „დემოკრატა“, რომელიც მესამე დივიზიონში გამოდიოდა და რომელმაც ჩვენს გმირს „კრუზეიროს“ ახალგაზრდულ გუნდში ვარჯიშის საშუალება მისცა. აქ მას, არც მეტი, არც ნაკლები, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მიაქცია ყურადღება.

| 18:30 | 400 | ბოლესლავი-კლადნო | 1.40 | 4.05 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.56 |
| 22:00 | 401 | სიგმა-ბრნო | 2.80 | 2.85 | 2.70 | 1.41 | 1.37 | 1.38 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 19:15 | 402 | სპარტა-ტეპლიცე | 1.40 | 4.20 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.69 |
| 21:30 | 403 | ზლინი-სლავია | 4.30 | 3.05 | 1.85 | 1.78 | 1.29 | 1.15 |
| | | ჩეხეთი. II ლიგა | | | | | | |
| | | 19 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 496 | იჰლავა-დუკლა | 1.65 | 3.50 | 4.90 | 1.12 | 1.23 | 2.04 |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 18:30 | 497 | უნიჩოვი-სოკოლოვი | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 18:30 | 498 | კარვინა-[illegible] | 2.50 | 2.90 | 2.85 | 1.34 | 1.33 | 1.43 |
| 19:00 | 499 | ოპავა-მოსტი | 2.10 | 3.00 | 3.60 | 1.23 | 1.32 | 1.63 |
| 21:00 | 595 | სლოვაცკო-ვიტკოვიცე | 1.45 | 3.90 | 6.50 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 18:30 | 596 | უსტი-ოლომოუცი | 2.85 | 2.90 | 2.50 | 1.43 | 1.33 | 1.34 |
| 19:00 | 597 | ჰრადეც კრალოვე-ტრინეცი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:00 | 598 | ბოჰემიანსი 1905-სპარტა ბ | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| | | სლოვაკეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 614 | სტრეკა-ზლატე მორავცე | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 615 | სლოვანი-ტატრანი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 22:15 | 616 | კოშიცე-ტრნავა | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 19:15 | 617 | რუჟომბეროკი-ნიტრა | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:30 | 618 | დუბნიცა-პეტრჟალკა | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 22:15 | 619 | ბისტრიცა-ჟილინა | 4.50 | 3.40 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| | | ხორვატია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 18:30 | 381 | ციბალია-ზადარი | 1.55 | 3.60 | 5.75 | 1.08 | 1.22 | 2.21 |
| 18:30 | 382 | რიეკა-ოსიეკი | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 18:30 | 383 | შიბენიკი-სლავენი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 18:30 | 384 | ხორვატია-ვარტეკსი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:30 | 385 | ინტერი-ზაგრები | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 22:15 | 386 | დინამო-ჰაიდუკი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | სლოვენია. I ლიგა | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 772 | ინტერბლოკი-მარიბორი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 18:00 | 773 | კოპერი-პუბლიკუმი | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 20:00 | 774 | გორიცა-პრიმორიე | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 22:00 | 775 | რუდარი-ნაფტა | 1.85 | 3.30 | 3.45 | 1.18 | 1.20 | 1.68 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 776 | დრავა-დომჟალე | 3.15 | 3.20 | 2.00 | 1.58 | 1.22 | 1.23 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 366 | ჰორსენსი-ოდენსე | 4.25 | 3.50 | 1.80 | 1.91 | 1.26 | 1.18 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 367 | ორჰუსი-სონდერიისკე | 1.70 | 3.65 | 4.60 | 1.15 | 1.24 | 2.03 |
| 18:00 | 368 | ნორდსიელანდი-ვაილე | 1.90 | 3.55 | 3.60 | 1.23 | 1.24 | 1.78 |
| 18:00 | 369 | რანდერსი-მიდტიულანდი | 2.80 | 3.40 | 2.35 | 1.53 | 1.27 | 1.38 |
| 19:30 | 370 | კოპენჰაგენი-ოლბორგი | 1.70 | 3.50 | 5.20 | 1.14 | 1.28 | 2.09 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 371 | ბრონდბიუ-ესბიერგი | 1.50 | 4.00 | 6.40 | 1.09 | 1.21 | 2.46 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 15:00 | 579 | როსკილდე-ლინგბიუ | 4.45 | 3.80 | 1.70 | 2.04 | 1.23 | 1.17 |
| 17:00 | 580 | [illegible] | 4.10 | 3.70 | 1.80 | 1.94 | 1.25 | 1.21 |
| 17:00 | 581 | [illegible] | 2.70 | 3.45 | 2.40 | 1.51 | 1.27 | 1.41 |
| 17:00 | 582 | [illegible] | 2.65 | 3.40 | 2.40 | 1.48 | 1.25 | 1.40 |
| 17:00 | 583 | [illegible] | 2.05 | 3.50 | 3.30 | 1.29 | 1.26 | 1.69 |
| 17:00 | 584 | [illegible] | 1.75 | 3.80 | 4.25 | 1.19 | 1.23 | 2.00 |
| 17:00 | 585 | [illegible] | 1.55 | 4.05 | 5.70 | 1.12 | 1.21 | 2.36 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 586 | კოგე-ფრემი | 5.65 | 4.25 | 1.50 | 2.42 | 1.18 | 1.10 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 220 | ბოდო გლიმტი-ფრედრიკშტადი | 2.30 | 3.40 | 2.90 | 1.37 | 1.28 | 1.66 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 214 | ლინი-მოლდე | 1.60 | 3.70 | 5.70 | 1.11 | 1.24 | 2.24 |
| 20:00 | 215 | როზენბორგი-ჰამ კამი | 1.45 | 4.20 | 6.50 | 1.07 | 1.18 | 2.55 |
| 20:00 | 216 | სტრომსგოდსეტი-ტრომსო | 2.65 | 3.35 | 2.55 | 1.47 | 1.29 | 1.34 |
| 22:00 | 217 | ვიკინგი-სტაბეკი | 2.90 | 3.40 | 2.30 | 1.56 | 1.28 | 1.37 |
| 20:00 | 218 | ალესუნდი-ვალერენგა | 2.70 | 3.40 | 2.45 | 1.50 | 1.28 | 1.42 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 219 | ლილესტრომი-ბრანი | 2.15 | 3.40 | 3.10 | 1.31 | 1.26 | 1.62 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 777 | სტარტი-ბრინი | 1.35 | 5.00 | 7.50 | 1.06 | 1.14 | 3.00 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 778 | სარპსბორგი-სანდნესი | 1.95 | 3.60 | 3.55 | 1.26 | 1.25 | 1.78 |
| 18:00 | 779 | ლოვ ჰამ-ჰაუგესუნდი | 2.40 | 3.50 | 2.75 | 1.42 | 1.28 | 1.53 |
| 18:00 | 780 | ჰონეფოსი-სოგნდალი | 2.30 | 3.50 | 2.85 | 1.38 | 1.27 | 1.57 |
| 18:00 | 781 | ალტა-კონგსვინგერი | 3.20 | 3.50 | 2.10 | 1.67 | 1.26 | 1.31 |
| 18:00 | 782 | სანდეფიორდი-ნიბერგსუნდი | 1.35 | 5.10 | 7.50 | 1.06 | 1.14 | 3.03 |
| 20:00 | 783 | ოდ გრენლანდი-მოსი | 1.35 | 5.10 | 7.50 | 1.06 | 1.14 | 3.03 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 784 | ტრელებორგი-სუნდსვალი | 1.90 | 3.30 | 4.20 | 1.20 | 1.30 | 1.84 |
| 21:00 | 785 | ჰამარბი-ორებრო | 1.90 | 3.30 | 4.20 | 1.20 | 1.30 | 1.84 |
| | | შვედეთი. სუპერეტანი | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 786 | ანგელჰოლმი-ვესბი | 2.15 | 3.30 | 3.10 | 1.30 | 1.26 | 1.59 |
| | | ფინეთი. ვეიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 19 სექტემბერი | | | | | | |
| 19:30 | 487 | ინტერი-კუპსი | 1.30 | 5.20 | 10.00 | 1.03 | 1.15 | 3.42 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 488 | იარო-ლაჰტი | 2.50 | 3.20 | 2.75 | 1.40 | 1.30 | 1.47 |
| 19:30 | 489 | ჰონკა-კტპ | 1.25 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.53 |
| 19:30 | 490 | მარიეჰამნი-ტურუ | 2.70 | 3.20 | 2.50 | 1.46 | 1.29 | 1.40 |
| 19:30 | 491 | მიპა-ჰკ | 2.50 | 3.20 | 2.80 | 1.40 | 1.32 | 1.49 |
| 19:30 | 492 | როვანიემი-ჰაკა | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 19:30 | 493 | ტამპერე-ვპს | 1.70 | 3.30 | 5.50 | 1.12 | 1.29 | 2.06 |
| | | ფინეთი. 2 ლიგა | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 787 | [illegible] | 1.55 | 3.50 | 6.20 | 1.07 | 1.24 | 2.23 |
| 16:00 | 788 | ოულუ-ტამპერე | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 17:00 | 789 | ტპ 47-ვიიკინგიტი | 3.70 | 3.30 | 1.90 | 1.74 | 1.25 | 1.20 |
| 16:00 | 790 | გრანკულა-კპვ | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:30 | 791 | პკ 35-კემი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 19:30 | 792 | ჰამეენლინა-ვიფკ | 1.65 | 3.40 | 4.75 | 1.11 | 1.22 | 1.98 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 637 | ბოჰემიანსი-ფინ ჰარპსი | 1.28 | 4.50 | 11.00 | 1.00 | 1.14 | 3.19 |
| 22:45 | 638 | ბრეი-სტ პატრიკსი | 4.10 | 3.25 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| 22:45 | 639 | დერი-დროგედა | 2.15 | 3.10 | 3.25 | 1.26 | 1.29 | 1.58 |
| 22:45 | 640 | გოლვეი-შემროკი | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| 22:45 | 641 | დუბლინი-სლაიგო | 2.45 | 3.10 | 2.75 | 1.36 | 1.29 | 1.45 |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 642 | კობი-კორკი | 4.50 | 3.40 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| | | ირლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 609 | კილდარე-ატლონი | 2.45 | 3.20 | 2.80 | 1.38 | 1.30 | 1.49 |
| 22:45 | 610 | ლიმერიკი-მონაგანი | 2.00 | 3.25 | 3.65 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| 22:45 | 611 | ფინგალი-ლონგფორდი | 1.57 | 3.40 | 6.00 | 1.07 | 1.24 | 2.17 |
| 22:45 | 612 | უოტერფორდი-უექსფორდი | 1.40 | 4.00 | 8.50 | 1.03 | 1.20 | 2.72 |
| | | იაპონია. J ლიგა | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 08:00 | 562 | ვერდი-ოიტა | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 08:00 | 563 | საპორო-ჩიბა | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 10:00 | 564 | კაშივა-კაშიმა | 3.70 | 3.30 | 1.90 | 1.74 | 1.25 | 1.20 |
| 10:30 | 565 | ივატა-იოკოჰამა ფმ | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 11:00 | 566 | კობე-შიმიძუ | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 14:00 | 567 | კავასაკი-ტოკიო | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 14:00 | 568 | ნაგოია-ნიიგატა | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 13:00 | 569 | კიოტო-გამბა | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 13:00 | 570 | ომია-ურავა | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 05:00 | 228 | კოლორადო-ნიუ ინგლენდი | 2.35 | 3.20 | 2.90 | 1.35 | 1.29 | 1.52 |
| 04:00 | 627 | კანზასი-ტორონტო | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 04:30 | 628 | ჰიუსტონი-სან ხოსე | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 05:00 | 629 | სოლტ ლეიკ-ჩივასი | 1.80 | 3.40 | 4.30 | 1.17 | 1.26 | 1.89 |
| 07:00 | 630 | ლოს ანჯელესი-ვაშინგტონი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 23:00 | 631 | ნიუ იორკი-დალასი | 1.70 | 3.30 | 4.55 | 1.12 | 1.23 | 1.91 |
| | | მექსიკა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 05:00 | 812 | ტეკოსი-პაჩუკა | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 01:55 | 813 | კრუზ აზული-სანტოსი | 1.90 | 3.40 | 3.80 | 1.21 | 1.26 | 1.79 |
| 01:55 | 814 | მონტერეი-მორელია | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 04:00 | 815 | ჩივასი-ხაგუარესი | 1.80 | 3.40 | 4.30 | 1.17 | 1.26 | 1.89 |
| 04:00 | 816 | ინდიოსი-ატლასი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 06:00 | 817 | ნეკაქსა-ტოლუკა | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| 21:00 | 818 | პუებლა-ტიგრესი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 21:00 | 819 | პუმასი-სან ლუისი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 01:00 | 820 | ამერიკა-ატლანტე | 1.90 | 3.30 | 3.90 | 1.20 | 1.27 | 1.78 |
| | | არგენტინა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 01:55 | 793 | სან ლორენსო-კოლონი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 04:15 | 794 | ლანუსი-ურაკანი | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 21:00 | 795 | არსენალი-ბანფილდი | 2.10 | 3.25 | 3.50 | 1.27 | 1.31 | 1.68 |
| 23:10 | 796 | ხიმნასია ჯ-არხენტინოს ხუნიორსი | 2.05 | 3.25 | 3.50 | 1.25 | 1.29 | 1.68 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 01:20 | 797 | ველესი-როსარიო | 1.80 | 3.40 | 4.60 | 1.17 | 1.29 | 1.95 |
| 04:10 | 798 | რასინგი-ესტუდიანტესი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 21:00 | 799 | ბოკა ხუნიორსი-ტიგრე | 1.40 | 3.80 | 9.00 | 1.02 | 1.21 | 2.67 |
| 23:20 | 800 | სან მარტინი-რივერ პლეიტი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 01:40 | 801 | ხიმნასია ლპ-გოდოი კრუზი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 01:40 | 802 | ნიუელსი-ინდეპენდიენტე | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | შერეული | | | | | | |
| | | 19 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 831 | ზაპოროჟიე-ილიჩევეცი(უკრ) | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| | | 20 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 821 | მეზდრა-ბოტევი (ბულგ) | 1.50 | 3.50 | 5.70 | 1.04 | 1.18 | 2.16 |
| 18:00 | 822 | ვარნა-სლავია(ბულგ) | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 17:00 | 824 | დებრეცენი-ვაშაში(უნგ) | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| 21:00 | 825 | ზალაეგერსეგი-პაქში(უნგ) | 1.55 | 3.40 | 5.10 | 1.06 | 1.18 | 2.03 |
| 15:00 | 826 | სკონტო-დინაბურგი(ლატ) | 1.70 | 3.20 | 4.10 | 1.11 | 1.20 | 1.79 |
| 18:00 | 827 | ვენტსპილსი-რიგა(ლატ) | 1.20 | 5.20 | 8.50 | 1.00 | 1.05 | 3.22 |
| 18:30 | 829 | ოფკ-ბანატი(სერბ) | 1.65 | 3.20 | 4.85 | 1.08 | 1.23 | 1.92 |
| 18:30 | 830 | ბორაცი-ნაპრედაკი(სერბ) | 1.65 | 3.10 | 4.50 | 1.07 | 1.20 | 1.83 |
| 18:00 | 832 | კრივბასი-ტავრია(უკრ) | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 18:00 | 833 | მეტალურგი დ-ლვოვი(უკრ) | 1.30 | 4.30 | 8.20 | 1.00 | 1.12 | 2.82 |
| 19:00 | 834 | ხარკოვი-ზარია(უკრ) | 2.15 | 2.80 | 3.40 | 1.21 | 1.31 | 1.53 |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 823 | ლოკომოტივი-ლიტექსი(ბულგ) | 2.70 | 3.10 | 2.25 | 1.44 | 1.22 | 1.30 |
| 20:00 | 828 | [illegible] | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | შვედეთი. თასი | | | | | | |
| | | 21 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 644 | კალმარი-გეტებორგი | 2.20 | 3.30 | 3.20 | 1.32 | 1.30 | 1.62 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ფაქტი ჯიუტია: სტიმულატორი არ დამტკიცდა

**გასულ** კვირას ვარშავაში ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საქართველოს ნაკრების მოჭიდავეები სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავეს. თავდაპირველად საპატიმროში თითქმის მთელი ქართული დელეგაცია აღმოჩნდა. მათ მავანი პოლონელი ქალის გაუპატიურებაში დასდეს ბრალი. მომჩივანის ჩვენების მიხედვით, ვარშავის ერთ-ერთ სასტუმროში ჩვენი ძიუდოისტების კომპანიაში ყოფნისას თურმე გონება დაუკარგავს და შემდეგში განვითარებული მოვლენებიც აღარ ახსოვს. ქალბატონი მტკიცებდა, რომ რაღაც პრეპარატი დაალევინეს და დააძინეს, მერე კი ძალა იხმარეს.

ექსპერტიზამ შემთხვევის ადგილზე პრეპარატის კვალი ვერ აღმოაჩინა. პირიქით, ინციდენტის დასაწყისში, რომელიც შეიძლება არცკი მომხდარა, ფოიეში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერები აშკარად აჩვენებენ დაზარალებულის გულთბილ და ვნებიან დამოკიდებულებას ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენებისადმი. სამართალდამცავები იმანაც დააეჭვა, რომ ინციდენტი პარასკევს საღამოს მოხდა და 28 წლის პოლონელმა გოგონამ კვირას რატომ იჩივლა. ყოველივე ამის შემდეგ ქალბატონმა ჩვენება შეცვალა.

ძალადობის ფაქტების დასადასტურებლად ექსპერტიზის დასკვნას ელოდებიან. ამასობაში კი სამ ქართველ ძიუდოისტს — გიორგი ბროლაშვილს, პაატა მერებაშვილს და ზებედა რეხვიაშვილს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს.

ქართულმა საკონსულომ მოჭიდავეების დასაცავად ადვოკატი აიყვანა და, სავარაუდოდ, ჩვენებს მალე გაათავისუფლებენ.

**ზურაბ მიგრიაული**

# ტოკიომდე ბორჯომია

**დღეს** საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბორჯომში მიემგზავრება შეკრებაზე.

2 ოქტომბრიდან შოთა ხაბარელის შეგირდები იაპონიაში წავლენ გუნდურ მსოფლიოს თასზე საჭიდაოდ. მსოფლიოს თასი კომერციულია, მაგრამ იგი მსოფლიოს ძიუდოს ფედერაციის ეგიდით იმართება და უპრესტიჟულესია ამგვარ შეჯიბრებათა შორის.

საქართველოს ნაკრების გარდა ტურნირზე რუსეთის ნაკრებიცაა მიწვეული. ხაბარელი კი, შეიძლება ითქვას, რომ უძლიერეს შემადგენლობას ამზადებს მსოფლიოს თასისთვის. ტოკიოსთვის ნესტორ ხერგიანი, მინდია ხომიზური, ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, გიორგი ბანდურაშვილი, ირაკლი ცირეკიძე, ვარლამ ლიპარტელიანი, ნოდარ მეტრეველი, ლომერ ჟორჟოლიანი და ლაშა გუჯეჯიანი მოემზადებიან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები 2007 წლის ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებულია.

**ზურაბ მიგრიაული**




ბადრი კეთილაძის ფოტო

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის საქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.
დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე.
პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

საქართველო კალათბურთის ფედერაცია აცხადებს მიღებას მსაჯთა მომზადების კურსებზე. მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მისამართზე:
ჭავჭავაძის გამზირი 49ა. ტელეფონი: 91 33 54

სუმო



ტოჩინოშინი (მარცხნივ) ჯერ ვერ აწვება

# ცაგურიას ხუთიდან მეოთხე

**სუმოს** უმაღლეს, მაკუუჩი დივიზიონში მეხუთე საშეჯიბრო დღე მიიწურა, ყველა სპორტსმენმა ჩაატარა თავისი შეხვედრა. მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ქართველმა ფალავნებმაც — ლევან ცაგურიამ და ლევან გორგაძემ.

სამწუხაროდ, ისევ ისე მოხდა, რომ ორივემ ერთდროულად ვერ შეძლო მოგება. დამარცხებით ამჯერადაც ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე) დამარცხდა, რომელიც ვერ არის ისეთ ფორმაში, როგორსაც მისგან მივეჩვიეთ ბოლო პერიოდში. სამაგიეროდ, კვლავ იგებს კოკაი, ის აშკარად ყველაფერს აკეთებს, რომ ბოლო შანსი გამოიყენოს და უმაღლეს დივიზიონში ადგილი შეინარჩუნოს. შეგახსენებთ, რომ თუ მან სექტემბრის ბაშო უარყოფითი ბალანსით დაასრულა, მაკუჩი დივიზიონიდან გავარდება.

აღმოსავლეთის მეთექვსმეტე მაეგაშირა კოკაიმ გუშინ დასავლეთის მეთორმეტე მაეგაშირა დეჯიმასთან იჭიდავა და დაამარცხა. ეს გამარჯვება ქართველი სუმოისტისთვის მიმდინარე ტურნირზე რიგით მეოთხე იყო, ჯერჯერობით მან სულ ხუთი შეხვედრა ჩაატარა, ანუ ოთხ მოგებასთან, ერთად ერთი მარცხიც აქვს.

კოკაის მომდევნო მეტოქე მასსავით ოთხგამარჯვებიანი და ერთმარცხიანი, აღმოსავლეთის მეთორმეტე მაეგეშირა ტამანოშიმა იქნება. ის უკვე მეათე წელია, სუმოშია, მერვე წელია კი, რაც რიკიში მაკუუჩი დივიზიონში ასპარეზობს. თავის დროზე მან სეკივაკის დონემდეც კი ააღწია რეიტინგში.

რაც შეეხება ტოჩინოშინს, მან ვერც გუშინ მოახერხა მოგება. ამჯერად ქართველი სუმოისტი აღმოსავლეთის მეექვსე მაეგაშირა ტოიოჰიბიკისთან დამარცხდა. ახლა ჩვენი ფალავნის ანგარიშზე მხოლოდ ერთი მოგება და ოთხი მარცხია.

ტოჩინოშინი, რომელიც დღესდღეობით აღმოსავლეთის მეათე მაეგაშირაა. ტურნირის მეექვსე დღეს კოკაის მიერ წინა დღეს დამარცხებულ დასავლეთის მეთორმეტე მაეგაშირა დეჯიმს შეებრძოლება, რომელსაც სამი მოგება და ორი წაგება აქვს.

ერთი სიტყვით, ისე ჩანს, რომ თუ ლევან გორგაძე დროზე არ გამოფხიზლდა, მიმდინარე ტურნირს უარყოფითი ბალანსით დაასრულებს და რეიტინგში უკან დაიხევს. თუმცა იქამდე ჯერ საკმაოდ დიდი დროა. ქართველ სუმოისტს კიდევ დარჩა სამი წაგების უფლება, რის მერეც უკვე აუცილებლად ყველა ბრძოლა უნდა მოიგოს. იმედია, ტოჩინოშინი გამარჯვებებს დღესვე, დეჯიმბასთან დაპირისპირებისას დაიწყებს.

გუშინ მაკუუჩი დივიზიონში ძალიან საინტერესო მოვლენები განვითარდება, ისეთი, როგორსაც ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. აღმოსავლეთის იოკოძუნა ჰაკუჰომ ვერაფერი მოუხერხა აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა კოსენოსატოს და დამარცხდა. ეს მონღოლი ჩემპიონისთვის პირველი მარცხი იყო, კოსენოსტისთვის კი პირველი გამარჯვება მეხუთე შეხვედრაში. მოიგო მეორე მონღოლმა იოკოძუნა ასასორიუმ. მან აღმოსავლეთის მესამე მაეგაშირა კიოკუტენო დაამარცხა. ახლა ასამორიუს ერთ მარცხთან ერთად ოთხი მოგებული ბრძოლა დაუგროვდა.

მაკუუჩი დივიზიონში ხუთი დღის შემდეგ ერთადერთი დაუმარცხებელი სუმოისტილა დარჩა. ეს არის დასავლეთის მეხუთე მაეგეშირა გოეიდო. 22 წლის ფალავანი, რომელიც განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით ნამდვილად არ გამოირჩევა (183 სმ. 145 კგ). მესამე წელია, რაც ის სუმოს სამყაროში გამოჩნდა. მაკუუჩი დივიზიონში ყოფნის ერთი წელი კი სწორედ ამ სექტემბრის ბაშოზე შეუსრულდა.

იაპონიაში სუმოს კიდევ ერთი ქართველი ბიჭი ჭიდაობს, თეიმურაზ ჯუღელი, საბრძოლო სახელით გაგამარუ. ის რანგით მესამე დივიზიონში — მაკუშიტაში გამოდის. მიმდინარე ტურნირზე, მას უკვე დაუგროვდა სამი ჩატარებული შეხვედრა, რომელთაგანაც ორი მოიგო, ერთში კი დამარცხებულმა დატოვა დოჰიო. გუშინწინ გაგამარუმ ჰოკუტოივას აჯობა. ეს მისი მეორე მოგება იყო, გუშინ კი ტერაშატასთან შეხვედრაში დამარცხდა.

**გიორგი არაბული**

ფრენბურთი

# საქამ და რთველომ ბრაზილია დაიწყეს

**პლაჟის** ფრენბურთში მსოფლიოს სერიის კიდევ ერთი ტურნირი დაიწყო. ეს შეჯიბრება ამჯერად ბრაზილიაში მიმდინარეობს და მასში მონაწილეობას ქართული წყვილები საქა-რთველო და გეორ-გიაც იღებენ.

ჯერჯერობით ქვიშის კორტზე სათამაშოდ მხოლოდ ჩვენი ქალთა ნაკრები გამოვიდა. ქრისტინა სანტანა და ანდრესა ჩაგასი სამშობლოში მეშვიდე ნომრად არიან განთესილები და საკმაოდ წარმატებულადაც დაიწყეს თამაში.

პირველ შეხვედრაში ქართული პასპორტის მქონე ბრაზილიელი ქალები, საქა და რთველო პოლონურ წყვილს დაუპირისპირდნენ. ბოჟოსტეკი და სოვალა ტურნირზე 26-ე ნომრად იყვნენ განთესილნი. ჩვენებმა მათ ადვილად მოუგეს — 2:0 (21:15, 21:16).

ამის მერე ქრისტინასა და ანდრესას წყვილი ეთამაშა შვედებს — ლუნდქვისტსა და ლიუნგქვისტს. ეს დუეტი ბრაზილიაში მეათე ნომრადაა განთესილი, თუმც საქართველოს ნაკრებმა მათაც ორ სეტში აჯობა — 2:0 (21:19, 21:18).

ახლა ჩვენი გუნდის მომავალი მეტოქე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი წყვილია, ამ ტურნირს მეორე ნომრები — მარია კლასა და კაროლი.

ჯერჯერობით არ დაუწყია თამაში გეორ-გიას. რენატო გომეში და ჟორჟე ტერშეირო ქალების მსგავსად მეშვიდე ნომრად არიან განთესილნი შეჯიბრებაზე.

ისინი პეკინის ოლიმპიადის შემდეგ უკვე ყველა ტურნირზე ფავორიტად მიიჩნევიან, რადგან ჩინეთში მათი გამოსვლა ნამდვილი სენსაცია იყო.

DAVIS CUP BNP PARIBAS

**დევისის თასი. 19-21 სექტემბერი. მინსკი**

# ახალბედა კაპიტნების დუელი: ვლადიმირი თუ ვლადიმერი?

**რუსლან ბატენკოვი**
*მინსკიდან*

**გუშინ** დევისის თასის პლეი ოფის კენჭისყრა ჩატარდა მინსკში, სადაც დღეს მასპინძელი ბელარუსის ნაკრები და სტუმარი საქართველოს ნაკრები დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფში შეხვდებიან ერთმანეთს.

ამ წყვილში წაგებული ერთი დივიზიონით დაქვეითდება, გამარჯვებული კი ადგილს შეინარჩუნებს და გაისად კიდევ უფრო დასაწინაურებლად იბრძოლებს. კენჭისყრა, ბელარუსულ ტრადიციულ ტანისამოსში გამოწყობილმა მინსკელმა ლამაზმანმა ჩაატარა, თუმც კენჭისყრის სახე და მთავარი გმირი მაინც მატჩის რუსი არბიტრი ვალერი ლუტკოვი გახდა, თუმც ამაზე ცოტა ქვემოთ მოგითხრობთ.

მინსკელი ლამაზმანის ამოღებული ბურთულებით პირველ დღეს საქართველოს ნაკრების მეორე ნომერი, 23 წლის ლადო ჩიხლაძე, ბელარუსის პირველ ჩოგანს, 18 წლის ვლადიმირ იგნატიკს შეხვდება. მათ შემდეგ კორტზე ქართველთა პირველი ჩოგანი, 27 წლის ირაკლი ლაბაძე და მასპინძელთა მეორე ნომერი 19 წლის ანდრეი კოროტჩენია გავლენ.

შეჯიბრის მეორე დღეს ლაბაძე-ჩიხლაძის წყვილი, მასპინძელთა დუეტს, 31 წლის მაქსიმ მირნის და ვლადიმერ იგნატიკს დაუპირისპირდება. მესამე დღეს კი ერთეულთა შეხვედრაში პირველი დღის მეტოქეები მოწინააღმდეგეებს გაცვლიან.

ქართველებს თადარიგში 20 წლის ნოდარ ითონიშვილი და 19 წლის ნოდარ ხრიკაძე ჰყავთ. მასპინძლებს კი 20 წლის სერგეი ბეტოვი.

ახლა კენჭისყრის მთავარ ამბავს, მატჩის მსაჯ ვალერი ლუტკოვს დავუბრუნდეთ. მაშინ, როდესაც მინსკელი ლამაზმანი ბურთულებს იღებდა და მეტოქეებს აწყვილებდა, ლუტკოვმა ქართველებს ქართულად მიმართა, ბელარუსებს — ძირძველ ბელარუსულ ენაზე და სთხოვა, მატჩები კორექტულად ჩაატარეთო. ამ დროს ვისლა ახსოვდა მინსკელი გოგონა, კამერები და ჟურნალისტებს რუს მსაჯს მისცვივდნენ და ალყაში მოაქციეს. როგორც მერე გაირკვა, ლუტკოვი ერთი კვირა იზეპირებდა მიმართვის ტექსტს. ამ ფაქტმა სტუმარ-მასპინძელი ძალიან ახალისა და კენჭისყრისას ტან და პირმშვენიერმა მინსკელმა გოგონამ აქტუალურობა დაკარგა.

კენჭისყრამდე კი ორივე გუნდმა პრესკონფერენცია გამართა.

„ისეთ დროს, როდესაც ჩემს ქვეყანას ძალიან უჭირს, გადავწყვიტე, რომ გვერდში დავდგომოდი და ჩემი სამსახური გამეწია. შანსები ორმოდაათი ორმოცდაათზეა, ბელარუსის ნაკრები ამ ეტაპზე ჩვენზე ობიექტურად ძლიერია, მაგრამ ჩვენ იღბლის და ღმერთის იმედზე ვარ" — განაცხადა საქართველოს ნაკრების ახალმა კაპიტანმა, 40 წლის ვლადიმერ გაბრიჩიძემ, რომელიც ბოლო წლებია, მოსკოვში ცხოვრობს და საქმიანობს.

ვლადიმერ გაბრიჩიძეს თავის დროზე დევისის თასზე საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია, კაპიტნის პოსტზე კი ახლახანს გელა ელერდაშვილი შეცვალა, რომელიც სამუშაოდ ესპანეთში წავიდა.

ბელარუსის ნაკრების კაპიტანმა ვლადიმერ ვოლჩკოვმა კი ეს თქვა: „ამ წყვილში ფავორიტის დასახელება ძალიან ძნელი საქმეა, თუმც ვფიქრობ, რომ თუ ჩემმა შეგირდებმა უაზრო შეცდომა არ დაუშვეს, მოწინააღმდეგეს აუცილებლად დავამარცხებთ, მეტოქის გუნდიდან კი ირაკლი ლაბაძეს გამოვარჩევ, რომელიც უცნაური მოთამაშეა. მას შეუძლია დაამარცხოს ნებისმიერი მეტოქე და წააგოს ვისთანაც გინდა".

სხვათა შორის, 30 წლის ვლადიმერ ვოლჩკოვმა ახლახან დაასრულა მოთამაშის კარიერა და გაბრიჩიძის არ იყოს, ისიც ახალბედა კაპიტანია. ვოლჩკოვი მას შემდეგ დანიშნეს ბელარუსის ნაკრების კაპიტნად, რაც ივლისში, ჩვენებმა ევრო-აფრიკული ზონაში ზედიზედ ხუთი მატჩი წააგეს და ახლა იძულებულები არიან, ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლონ. ჩვენთან ვოლჩკოვზე დიდ იმედებს ამყარებენ. სჯერათ, რომ ბელარუსულ ჩოგბურთს გამოაცოცხლებს. აქვე ვთქვათ, რომ ბელარუსის ნაკრებმა ყველაზე დიდ წარმატებას 2004 წელს მიაღწია, როდესაც დევისის თასის ელიტარულ დივიზიონში ნახევარფინალში გავიდა.

რაც შეეხება ჩვენი ჩოგბურთის დღევანდელ რეალობას. ვოლჩკოვზე უკვე ვთქვით. გარდა ამისა, რამდენიმე წლის წინ ბელარუსული ჩოგბურთის ლიდერი და მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული ჩოგანი მაქსიმ მირნი აშკარად ცუდ ფორმაშია. მეტიც, წლევანდელი სეზონი მის კარიერაში ალბათ უცუდესია.

წლეულს მირნი, რომელიც უკვე 31 წლისაა, აქცენტს უფრო წყვილებში თამაშზე აკეთებს. ATF-ის ტურნირებზე მეწყვილედ ბრიტანელი ჯეიმი მიურეი აირჩია. თუმც მათმა დუეტმა ბევრს ვერაფერს მიაღწია, კორტზე ერთმანეთს ვერ გაუგეს და US OPEN-ის შემდეგ წყვილი დაიშალა. ერთეულებში კი მირნიმ, რომელიც ერთ დროს კერკეტ კაკლად ითვლებოდა, წლეულს ოდენ 10 მატჩი გამართა, აქედან 8 წააგო და მხოლოდ 2 მოიგო. სტატისტიკა ალბათ ყველაფერზე მეტყველებს.

პეკინის ოლიმპიადის შემდეგ მაქს მირნიმ გადაწყვიტა, მხოლოდ წყვილებში ითამაშოს და რა გამოვა აქედან, ამას მალე ვნახავთ. პრესკონფერენციაზე საშუალება მქონდა, მას გავსაუბრებოდი და მითხრა, ფორმაში არ ვარ და ჯობს ერთეულებში ახალგაზრდებს დავუთმო ადგილიო. ერთი სიტყვით, მირნის იმედი კიდევ აქვთ ბელარუსში და ვნახოთ...

დღეს კი მეტოქეებს საერთო „მოწინააღმდეგე" ეყოლებათ. უკვე ერთი კვირაა, რაც მინსკში მოიღრუბლა და პერიოდულად ცრის ხოლმე. თუ სინოპტიკოსებს დავუჯერებთ, მატჩის დღეს გვარიანად უნდა გაწვიმდეს, რაც დიდ პრობლემას შეუქმნის სტუმარ-მასპინძელს, რადგან ოლიმპიური მომზადების რესპუბლიკური ცენტრის კორტი გადახურული არ არის და წვიმის შემთხვევაში, მატჩი შეწყდება.



კენჭისყრის შემდეგ: ვლადიმირ იგნატიკი, მაქს მირნი, ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ყოფნა-არყოფნა მინსკში გადაწყდება

**დღეს** ბელარუსის დედაქალაქ მინსკში საქართველოს და მასპინძელთა ნაკრებების შეხვედრა დაიწყება ჩოგბურთში. ეს სამდღიანი დაპირისპირება „დევისის თასის" ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფში დარჩენისთვის იმართება.

თამაშებს მინსკის ოლიმპიური მზადების ცენტრის საჩოგბურთო კორტი უმასპინძლებს, რომელშიც 1300-მდე მაყურებელი ეტევა.

დღესდღეობით არც ერთი ის მოთამაშე, ვინც ამ ორ ნაკრებში ირიცხება, არ არის მსოფლიოს ელიტარულ ჩოგბურთელთა სიაში. თუმცა საქართველოსაც და ბელორუსსაც ჰყავთ ისეთი სპორტსმენები, რომელნიც თავის დროზე საუკეთესო 50-ეულში შედიოდნენ.

ჩვენთან ასეთი ირაკლი ლაბაძეა, ის ერთხანს მსოფლიოს 42-ე ჩოგანიც კი იყო, რაც შეეხება ბელორუსთა ლიდერ მაქს მირნის, ის საერთოდ მე-18 ჩოგნობამდეც კი მივიდა...

საქართველოს ნაკრებს საკმაოდ რთული შეხვედრა ელის, რადგან, ჯერ ერთს ჩვენი ნაკრების ლიდერები, ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე თითქმის ერთწლიანი დასვენების შემდეგ დაბრუნდნენ და ნელნელა შედიან ფორმაში. მეორეც, მათ გასვლაზე უწევთ თამაში, რაც სლავებს დამატებით უპირატესობას ანიჭებს. ამ წუთისთვის ბელორუსიის ნაკრებში ყველაზე მაღლა რეიტინგში 18 წლის ვლადიმერ იგნატაკია — 423-ე. ჩვენს გუნდში კი პირველი ჩოგანი ირაკლი ლაბაძეა მსოფლიოში 533-ე.

დღეს, ერთეულთა შეხვედრები გაიმართება. ხვალ კორტზე წყვილები გამოვლენ, კვირას კი ისევ ერთეულთა დაპირისპირება შედგება.

ქართველი მეჩოგნეები მეტოქეებს რეიტინგში საგრძნობლად ჩამორჩებიან. ირაკლი ლაბაძის გარდა სამივე მოთამაშე ათასეულს მიღმაა. მაშინ, როცა ბელორუსიის გუნდში ყველაზე დაბლა რეიტინგში სერგეი ბეტოვი დგას — 670-ე ჩოგანი მსოფლიოში.

ახლა ძალიან დიდი საფრთხეა, რომ საქართველომ ამ დონეზე ორი წლის წინ მოპოვებული ადგილი დაკარგოს. ეს აშკარად უკანგადადგმული ნაბიჯი იქნება. თუმცა ამას თავისი მიზეზები აქვს, წელს არ მოხერხდა ჩვენი ორი წამყვანი ჩოგნის, ირაკლი ლაბაძისა და ლადო ჩიხლაძის ერთად თამაში. მათი სრულფასოვანი შემცვლელი კი, სამწუხაროდ, საქართველოს დღესდღეობით არ ჰყავს.

**გიორგი არაბული**

| ბელარუსის ნაკრები | საქართველოს ნაკრები |
|---|---|
| ვლადიმერ იგნატიკი | ირაკლი ლაბაძე |
| 18 წლის (423-ე ჩოგანი) | 27 წლის (533-ე ჩოგანი) |
| მაქს მირნი | ნოდარ ითონიშვილი |
| 31 წლის (524) | 19 წლის (1147) |
| ანდრეი კარაჩენია | ლადო ჩიხლაძე |
| 19 წლის (587) | 23 წლის (1193) |
| სირაჰეი ბეტაუ | გიორგი ხრიკაძე |
| 20 წლის (670) | 18 წლის (რეიტინგში არაა) |
| კაპიტანი: ვლადიმირ ვოლჩკოვი | კაპიტანი: ვლადიმერ გაბრიჩიძე |

# ივანოვიჩი პოდიუმმა გადაიყოლა

**ქალები**
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 $

**მეორე წრე**

ელენა იანკოვიჩი (1, სერბეთი) — ფლავია პენეტა (იტალია) 6:2 6:1; სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) — აიუმი მორიტა (იაპონია) 6:1 6:1; ელენა დემენტიევა (3, რუსეთი) — ალიზ კორნე (საფრანგეთი) 6:0 6:3; კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) — ფრანჩესკა შიავონე (იტალია) 6:4 6:3; აგნეშკა რადვანსკა (6, პოლონეთი) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:2 6:3; ნადია პეტროვა (რუსეთი) — ანა ივანოვიჩი (2, სერბეთი) 6:1 1:6 6:2

**ქალები**
გუანჯოუ. ჩინეთი. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

**მეორე წრე**

ჟი ჟენგი (3, ჩინეთი) — იოანა რალუკა ოლარუ (რუმინეთი) 6:4 6:0; ტამირა პაშეკი (ავსტრია) — პაულინ პარმენტიე (7, საფრანგეთი) 6:2 2:6 6:3; შუაი პენგი (4, ჩინეთი) — ლუ იანიანი (ჩინეთი) 6:3 6:4; ვერა ზვონარიოვა (1, რუსეთი) — სიუ იუ-ფანი (ჩინეთი) 6:1 7:6; კამილ პინი (საფრანგეთი) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 2:6 6:0 6:2

**ტყუილი** გამოდგა ანა ივანოვიჩის ფიცი-მტკიცი, ტრავმები მოვიშუშე და ფორმაში შევდივარო. სერბმა ლამაზმანმა ტოკიოში თავის პირველივე შეხვედრაში წააგო და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საოცრად დიდი გზის გავლა მოუწევს, სანამ ძველებურად ათამაშდება.

ძნელია ივანოვიჩს რაიმე წაუყენო ბრალად, რადგანაც მისი ასეთი ჩავარდნის მთავარი მიზეზი ტრავმებია. მთელი ზაფხულის განმავლობაში მას ხან ფეხი აწუხებდა, ხან მხარი და ხანაც თითი ჰქონდა მოტეხილი, რის გამოც დიდი დრო გაუცდა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თავად ანაც არ იქცეოდა მთალად სწორად — შეიძლება მას სრულყოფილად ვარჯიშის საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ მეორეს მხრივ არც ნაირ-ნაირ პლაჟებზე კოტრიალი და სხვადასხვა ჟურნალებისთვის პოზიორობა ღირდა.

ახლა კი ივანოვიჩი ამ ყველაფერის შედეგს იმკის და სანამ არ გადაწყვეტს შოუბიზნესი ურჩევნია თუ სპორტი, არაფერი ეშველება.

გუშინ სერბი ნადია პეტროვასთან დამარცხადა. რუსს დიდი არაფერი უქნია, მაგრამ სამაგიეროდ თავად ანამ იმდენი ბრიყვული შეცდომა დაუშვა, რომ წარმატებისკენ ყველა გზა თავად მოიჭრა. ივანოვიჩმა მხოლოდ მეორე სეტში შეძლო მეტ-ნაკლებად აკურატულად ათამაშება და ეს ანგარიშსაც დაეტყო — სერბმა მხოლოდ გეიმი აალებინა მეტოქეს. თუმც გადამწყვეტ პარტიაში ბალკანელმა ისევ შეცდომების კორიანტელი დააყენა და ტურნირსაც დაემშვიდობა.

სამაგიეროდ, მოიგო მეორე სერბმა, იაპონიაში პირველ ნომრად განთესილმა ელენა იანკოვიჩმა. მან ფლავია პენეტასგან არაფერი დატოვა და მხოლოდ სამი გეიმი დათმო. ელენას მართლაც რომ დიდი მოტივაცია აქვს — ტოკიოს ტურნირის მოგების შემთხვევაში ის საჩოგბურთო მწვერვალიდან სერენა უილიამსს ჩამოსვამს და მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსს დაიბრუნებს. საამისოდ იანკოვიჩს ბლომად წვალება მოუწევს, რადგანაც უკვე შემდეგ შეხვედრაში უსერიოზულესი ჯახი ელის სვეტლანა კუზნეცოვასთან. ეს რუსი კი ჯერჯერობით მხნედ გამოიყურება, რაც გუშინაც დაამტკიცა აიუმი მორიტას მიწასთან გასწორებით.

მოიგო კიდევ ერთმა ბობოლა რუსმა — ელენა დემენტიევამ თითქმის თანამემამულესავით იოლად იხეირა. ახალგაზრდა ალიზ კორნემ მხოლოდ მეორე სეტში შეძლო მეტ-ნაკლებად თანაბარად შებრძოლება, მაგრამ დემენტიევამ საქმე აღარ გააჯანჯლა და მეოთხედფინალის საგზურიც იქავ გაინაღდა.

პრობლემების გარეშე იხეირა აგნეშკა რადვანსკამაც, რომელსაც მარიონ ბარტოლი შემოებრძოლვნა. ფრანგმა ორივე სეტი თითქოსდა კარგად დაიწყო, მაგრამ ორივეჯერ ბოლო გეიმები ჩააგდო და ახლა იძულებული იქნება სახლის გზას გაუყვეს. რადვანსკა კი ნახევარფინალის საგზურს უკვე ნახსენებ პეტროვას შეეცილება.

გუანჯოუში კი წინ მიიწევს ვერა ზვონარიოვა. მის მორიგ მსხვერპლად მასპინძელი სიუ იუ-ფანი იქცა, რომელმაც რუსს თავსატეხი მხოლოდ მეორე სეტში შესთავაზა, მაგრამ ჯერ ტაიბრეიკი და შედეგად მთლიანად მატჩიც წააგო. ზვონარიოვა კი ჩინეთში მოგების უმთავრეს პრეტენდენტად რჩება და სასწაული უნდა მოხდეს, იქ გამარჯვება ვერ მოახერხოს.

სხვა მატჩებიდან ტამირა პაჟეკის მოგებას თუ ავღნიშნავთ. ეს ავსტრიელი თინეიჯერი უკვე ორიოდ წელია ყურადღებას იქცევს, მაგრამ რატომღაც ამ სეზონში მისი პროგრესი აშკარად შეჩერდა. თუმც ბოლო კვირებია ის ნორმალურად გამოიყურება — ჯერ იყო და, ბალის ფინალში ითამაშა, ახლა კი გუანჯოუშიც წინ მიიწევს. მართალია, სატიტულო მატჩამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია, მაგრამ გამოცდილი პაულინ პარმენტიეს დამარცხებით საუკეთესო რვაში მოხვედრა უკვე შეძლო.



# ესპანეთი ამერიკას სისხლიან ქვიშას უმზადებს
# ძია სემი სემის იმედად


ულტრაფავორიტი ესპანეთი

DAVIS CUP by BNP PARIBAS

**ქალთაგან** განსხვავებით, რომლებმაც წლეულს სანაკრებო კორტები უკვე მოიარეს, კაცთა შორის ამავე დონეზე უმთავრესი ბატალიები წინ გველის — დღეს დაიწყება და მთელ უქმეებს გასტანს დევისის თასის ნახევარფინალები. ორივე წყვილში სერიოზული ჯახია მოსალოდნელი, რადგანაც ერთმანეთს ძალიან ტიტულოვანი და თანაბარი ნაკრებები ეტაკებიან. ამიტომაც ურიგო არ იქნება თვალი გადავავლოთ ძალთა განლაგებას და განვიხილოთ, თუ ვის რა პრობლემები მოსძალებია.

ესპანეთ — აშშ-ს დაპირისპირებით დავიწყოთ, რადგანაც ეს წყვილი გაცილებით მეტ ყურადღებას იქცევს. ორივე ნაკრებს დევისის თასზე თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და ორივემ კარგად იცის თუ რა არის საჭირო მიზნის მისაღწევად — იანკები მოქმედი ჩემპიონები არიან, პირენეელებმა კი უმაღლესი სანაკრებო ჯილდო ბოლოს 2004 წელს მოიგეს და სხვათა შორის მაშინ სწორედ ამერიკელები დაჯაბნეს.

ეს ნაკრებები უკვე მეცხრედ დაეტაკებიან ერთურთს. ჯერჯერობით წინ ამერიკელები 5:3 უპირატესობენ, მაგრამ სამაგიეროდ თიხნარზე ჩატარებულ ჯახებში პირენეელები ლიდერობენ — 3:1. და რადგანაც ამჯერად მასპინძლობის პატივი ევროპელებს ერგოთ, ისინი თავისთავად რომ გრუნტზე არჩევენ იანკთა დახვედრას. ეს ესპანელებს სერიოზულ უპირატესობას მისცემს — გარდა იმისა, რომ ისინი ამ საფარის ერთ-ერთ უმთავრეს სპეციალისტებად მიიჩნევიან და მათ რიგებში რაფაელ ნადალის სახით თიხნარის ალბათ ყველა დროის საუკეთესო მეჩოგნე თამაშობს, თავად ამერიკელებისთვის გრუნტი ყველაზე უხერხულ საფარად ითვლება. იანკებს უკვე წლებია თიხნარზე ხეირიანად მოთამაშე ჩოგბურთელი არ ჰყოლიათ.

მათდა სამწუხაროდ ეს აშშ-ს ერთადერთი პრობლემა როდია. იანკთა კაპიტან პატრიკ მაკინროის თავის ტკივილი არ აკლია, რადგანაც სხვადასხვა მიზეზების გამო რამდენიმე ლიდერს მოისაკლისებს. უმთავრესი დანაკარგი ბობ ბრაიანის არ ყოფნა იქნება. მოგეხსენებათ ეს ბიჭი და მისი ტყუპისცალი მაიკი მსოფლიოს საუკეთესო მეწყვილეებად მიიჩნევიან. ამიტომ რა ხანია იანკები დევისის თასზე წყვილთა მატჩს წინასწარ აქტივში იწერენ ხოლმე — ნაკრების რიგებში ჩატარებული 16 შეხვედრიდან ბრაიანებმა 14-ში იხეირეს. ახლა კი მაკინროი ამ თითქოსდა გარანტირებული ქულის გარეშე დარჩა. ბობის შემცვლელად მარდი ფიში კი გამოიძახეს, მაგრამ ამისგან რა გამოვა, ზუსტად ვერავინ გეტყვით.

ორიოდ დღის წინ კი გაირკვა, რომ თამაშს ვერც იანკთა ერთ-ერთი ლიდერი ჯეიმს ბლეიკი შეძლებს. უფრო სწორად, ამ გამოცდილმა მეჩოგნემ თავად თქვა ჩოგნაობაზე უარი — ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ისე ვარ გადაღლილი, რომ ჩემგან კარგს ვერაფერს გამოწურავთო. მაგრამ ეს დაღალატებას უფრო ჰგავს, რადგანაც რაც არ უნდა გასავათებული და ძალაგამოცლილი იყოს, საეჭვოა ბლეიკს მის მაგივრად გამოძახებულ სემ ქუერეიზე ცუდად ეთამაშა. თანაც დაღლილობის მომიზეზება თითიდანაა გამოწოვილი — მართალია, ბლეიკს ამ ზაფხულს ბლომად მოგზაურობა მოუწია, რადგანაც ოლიმპიადაზე თამაში არ იუარა. მაგრამ აბა იმავე ნადალმა რაღა თქვას, რომელმაც წლეულს ამერიკელზე დაახლოებით 30-ით მეტი მატჩი ითამაშა, მაგრამ ნაკრებში თამაშზე მაინც დაყაბულდა.

„ფავორიტობას ნამდვილად ვერავინ დაგვაბრალებს, მაგრამ არც უშანსოდ ვართ. ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ, თუმც ახლა აუცილებელია მინიმუმ ერთი სასწაული ჩავიდინოთ. ვთქვათ, ქუერეიმ ნადალს მოუგოს. მოკლედ, შენს იმედზე ვართ, სემ" — ხუმრობის თავი კიდევ შერჩა მაკინროის.

ესპანელები კი ამასობაში კბილებს ილესავენ და ამერიკელთა განადგურებას გეგმავენ. მათ სულაც არ უნდათ, 2004 წლის სცენარი გაიმეორონ და გამარჯვებულის ვინაობის გარკვევა მეხუთე მატჩამდე გადადონ. სხვათა შორის, 4 წლის წინანდელ ბატალიაში შედგა რაფაელ ნადალის სანაკრებო დებიუტი და მაშინ 18 წლის ღლაპმა მთელ მსოფლიოს პირველად დაანახა თავისი ტალანტი, როცა ერთეულთა ორივე შეხვედრა მოიგო. რაფა ახლაც იგივეს გამეორებას გეგმავს.

ესპანელთა კაპიტანმა ემილიო სანჩეს-ვიკარიომ ნადალის გარდა დავიდ ფერერს, ფელიჩიანო ლოპესსა და ფერნანდო ვერდასკოს უხმო. თანაც პირინეელებმა მატჩის გამართვა კორიდას სტადიონზე, მადრიდის სახელოვან „პლაზა დე ტოროს ლას ვენტასზე" გადაწყვიტეს — ყვითელი ქვიშა აილეს, წითელი გრუნტი გაშალეს და იანკების სამასპინძლოდ 21 000-იანი ტრიბუნებები გაამზადეს.

ნაკლებ რეკლამირებულია მეორე წყვილი, სადაც არგენტინა რუსეთს მიიღებს. მაგრამ სიმართლე ითქვას, თანაბარი ბრძოლა აქ უფრო მოსალოდნელი.

ფავორიტად არგენტინელები მიიჩნევიან, რადგანაც რუსებს პრობლემები დაუგროვდათ. პირველ რიგში, მათ არ ეყოლებათ მიხაილ იუჟნი — სლავთა კაპიტანმა შამილ ტარპიშევმა მთელი კვირა უცქირა და ბოლოს უთხრა, ფორმაში აშკარად არ ხარ და სახლში წადიო. იუჟნის იგორ კუნიცინი შეცვლის.

რუსებს არც მარატ საფინი ეყოლებათ, რომელმაც განაცხადა, სარეიტინგო ქულები მჭირდება და ბანგკოკის ტურნირისთვის უნდა მოვემზადოო. თუმც საფინის უარის რეალური მიზეზი ალბათ ისაა, რომ ტარპიშევმა მას არ უხმო მეოთხედფინალური ბატალიებისას და მარატიც გაბრაზებულია.

რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, საფინის არ ყოფნა ყველაზე მეტად მასპინძელთა ლიდერ დავიდ ნალბანდიანს ეწყინა — „რუსებს სხვა მეჩოგნეებიც საკმარისად ჰყავთ და თან ისინი მარატზე უკეთესად თამაშობენ გრუნტზე."

გადასხვაფერებული შემადგენლობით ხვდებიან ამ შეხვედრას მასპინძლებიც. ნაკრებში არ არიან ხუან მონაკო და ხოსე აკასუსო, რომელთა ადგილიც ახალგაზრდა ხუან მარტინ დელ პოტრომ და აგუსტინ კალერიმ დაიკავეს. თუმც ეს წესით არგენტინელებს მხოლოდ კარგი უნდა მოუტანოს — დელ პოტრო ბოლო თვენახევარი ფანტასტიურ ფორმაშია და აქ ივლის-აგვისტოს გასაყარზე ზედიზედ 4 ტურნირი მოიგო.

არგენტინელთა უმთავრესი უპირატესობა კი გიჟმაჟი გულშემატკივრები არიან, რომლებიც კორტზე საოცარ ატმოსფეროში ბურავენ და მომხვდურ მეჩოგნეებს ნამდვილ ჯოჯოხეთს უწყობენ. სხვათა შორის, პატაგონიელებმა მშობლიურ კედლებში უკვე ზედიზედ 12 დაპირისპირება მოიგეს.

**კახა ლომჯაშვილი**



ბადრი კეთილაძის ფოტოები



# ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓᲐᲪ ᲓᲐᲑᲘᲜᲐᲕᲓᲜᲔᲜ

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ოლიმპიურმა ვარსკვლავმა“ გუშინ პეკინის ოლიმპიური ჩემპიონები, ირაკლი ცირეკიძე, რევაზ მინდორაშვილი, მანუჩარ კვირკველია და ბრინჯაოს მედალოსანი გიორგი გოგშელიძე ბინებით დააჯილდოვა... დაასაჩუქრა. ირაკლი ცირეკიძე ოთხოთახიანი ბინას საკაძის მოედანზე მშენებარე კომპლექსში მიიღებს.

ასეთივე ბინაში, ოღონდ საბურთალოს „ოლიმპიურ ვარსკვლავში“ რევაზ მინდორაშვილი იცხოვრებს. მანუჩარ კვირკველიას კი ოთხოთახიანი ბინა „დიდუბის ვარსკვლავში“ ექნება. აქვე, ოროთახიანში, დაიდებს ბინას გიორგი გოგშელიძეც.

დაჯილდოება მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ შედგა.

შეგახსენებთ, რომ იქამდე ოლიმპიურ ჩემპიონებს ბინები კომპანია „სასკომ“ და „აქსისმა“ აჩუქეს.

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ**

ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ

la vuelta08

63-Ე ᲚᲐ ᲕᲣᲔᲚᲢᲐ ᲔᲡᲞᲐᲜᲐ. 30 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ - 21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

# ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐ ᲘᲧᲝᲡ

ᲕᲔᲚᲝᲥᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘ მადრიდს უახლოვდება, ვუელტა — დასასრულს. 17 სექტემბერს პელოტონი ვალიადოლიდში შეგორდა, რომელიც ოდესღაც ქვეყნის დედაქალაქი იყო და სადაც 1506 წელს ქრისტეფორე კოლუმბმა შთამბეჭდავი ცხოვრება არცთუ შთამბეჭდავ გარემოებაში დაასრულა.

ვალიადოლიდი ველოსპორტისვისაც ისტორიულია — 1935 წელს იქ მოეწყო პირველი „ლა ვუელტა ესპანას“ პირველი ეტაპის ფინიში და მას შემდეგ გრძელმა ქარავანმა კიდევ 33-ჯერ ჩაუარა კოლუმბის მუზეუმსა და ქალაქის ძველ ქუჩებში თავმომწონე ღირსშესანიშნაობებს.

ზამორადან ვალიადოლიდამდე გაჭიმული მე-17 ეტაპი წმინდად ბარის ტიპისა იყო და 148-კილომეტრიან გზაზე წამლადაც არ იდგა თუნდაც ყველაზე მინიმალური კატეგორიის მთა. პელოტონიც ძირითადად ისვენებდა და მშვიდად, თუმც წინა ეტაპთან შედარებით მაინც საკმაოდ სწრაფად მოიწევდა ფინიშისკენ.

მაგრამ აქაც აღმოჩნდნენ გაქცევის მოსურნენი, ვისაც ფეხებში სხვებზე მეტი ძალა შერჩენოდათ და მის გამოყენებას ავალდებულებდა ჭრელა მაისურებზე გამოსახულ სპონსორებთან ფინანსური შეთანხმება. ორნი გაიქცნენ — პედრო ორილო (რაბობანკი) და ხოსე რუისი (ანდალუზია) და კარგა ხანსაც ინავარდეს თავისუფლად, მაგრამ პელოტონი ფინიშამდე ექვსი კილომეტრით ადრე წამოეწია მათ და ჩაყლაპა.

ფინიშთან მიახლოვების შემდეგ სადღაც გაქრა მრბოლთა უდარდელობა და გარკვეულმა გუნდებმა პელოტონის წვერში ხელსაყრელი ადგილის დასაკავებლად ერთმანეთს მუჯლუგუნები დაუშინეს. იძალეს „ეუსკალტელმა“ და „ლოტომ“, რომლებსაც მკაფიო ამოცანა ჰქონდათ დასახული — თავიანთი საუკეთესო სპრინტერები საფინიშო კილომეტრზე სწრაფად უნდა გაექანებინათ და ბოლო შეტევისვის გაემზადებინათ. მაგრამ აქ თავი წამოყო კიდევ ერთმა სპრინტერულმა გუნდმა „ქუიქ სტეპმა“. ამ კრებულში ბელგიური დროშის ქვეშ გაერთიანებულმა მრბოლებმა წინა დღეს გვარიანი სამუშაო გასწიეს — შავ საქმეს პაოლო ბეტონი ხელმძღვანელობდა და პელოტონს ტემს კარნახობდა, უშუალოდ ფინიშზე კი რჩეული სპრინტერი ტომ ბოონენი გაქანდა და ეტაპიც ამ ზორბა ჯეელმა მოიგო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ „ქუიქ სტეპს“ მეორე დღესაც საკმარისად შერჩენოდა ძალა და ამ გუნდში ბოონენის გარდა კიდევ მოიძებნა სწრაფი ფინიშიორი.

ბოლოს ასე გამოვიდა — „ქუიქ სტეპმა“ „ლოტოსაც“ გაასწრო და „ეუსკალტელსაც“, უკანასკნელ ასეულ მეტრებზე კი ყველას აჯობა ბოონენის ახალგაზრდა თანამემამულე-თანაგუნდელმა ვოუტერ ვეილანდტმა, ვინაც ჯერ მხოლოდ 23 წლისაა, მაგრამ უკვე ბევრი უფრთხის შარშან მოგებული რამდენიმე ფინიშის შემდეგ.

...ალბერტო კონტადორი კი ყვლავ ამაყად ატარებს საერთო ჩათვლის ლიდერის ოქროსფერ მაისურს.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

**ᲛᲔ-17 ᲔᲢᲐᲞᲘ. ᲖᲐᲛᲝᲠᲐ — ᲕᲐᲚᲘᲐᲓᲝᲚᲘᲓᲘ. 148 ᲙᲛ**

| | |
|---|---|
| 1. ვოუტერ ვეილანდტი (ბელგია, „ქუიქ სტეპი“) | 3 სთ 18 წთ 48 წმ |
| 2.მატი ბრეშელი (დანია, CSC) | |
| 3. ალექსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2R) | |
| 4. კოლდო ჰერნანდეს დე ლარეა (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | |
| 5.ჰეინრიხ ჰაუსლერი (გერმანია, „გეროლშტეინერი“)ყველას იგივე დრო | |

**ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ**

| | |
|---|---|
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) | +69 სთ 53 წთ 52 წმ |
| 2. ლევი ლეიფეიმერი (აშშ, ასტანა) | +1 წთ 17 წმ |
| 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +3 წთ 41 წმ |
| 4. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, „ხასობეო გალისია“) | +4 წთ 35 წმ |
| 5. რობერტ ხესინკი (ჰოლანდია „რაბობანკი“) | +5 წთ 49 წმ |



ვოუტერ ველანდტის ფინიში

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ

გამომცემელი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
მთავარი რედაქტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ
მთავარი რედაქტორის მოადგილე ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ
ტექნიკური რედაქტორი ᲖᲕᲘᲐᲓ ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნარობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ᲕᲘᲐᲩᲔᲡᲚᲐᲕ ᲒᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე
ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ: 38-11-14, 877 54 55 00

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ http://www.sarbieli.com.ge